პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

1976 სამშაბათი 24 აგვისტო № 198 (16628) ფასი 2 კაპ. 1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

აგვისტოს პედსაბჭო

ასწავლო წლის დამდეგს სკოლების მასწავლებლები ტრადიციულ პედაგოგიურ თათბირებზე იკრიბებიან. ახლადფული აგვისტოს პედსაბჭოს დღის წესრიგშია ამოცანები, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ დაუსახა სახალხო განათლებას.

საქმე ეხება ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის, და უწინარეს ყოვლისა, საშუალო სკოლის შემდგომ სრულყოფას. აი რატომ არის აუცილებელი, უყოყმანოთ განვიხილოთ და კრიტიკულად გავანალიზოთ პარტიის მოთხოვნების შესაბამისად სახალხო-აღმზრდელობითი პროცესის მთელი ორგანიზაცია, ვიზრუნოთ საუკეთესო პედაგოგიური გამოცდილების ყოველი ღონისძიებით გავრცელებისათვის, ერთად მოვიფიქროთ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და დაოსტატების გზები.

ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების შემოღებას შემდეგ კიდევ უფრო მატულობს სკოლის პასუხისმგებლობა ნორჩი თაობის აღზრდისათვის. დღეს, მაგალითად, ვეღარ დავჯერდებთ ადრინდელობრივ ჩაბმას ათწლიან სწავლებაში. მოსწავლეთა აკადემიური წარმატების საშუალო პროცენტს, განსორციელებულ ღონისძიებათა რიცხვს. მთავარია, მტკიცედ ვუნერგავდეთ ყოველ ახალგაზრდას კომუნისტურ მსოფლმხედველობას, მაღალ მორალურ თვისებებს, ვაყვარებდეთ ცოდნას, სიბეჯითეს. აგვისტოს თათბირები ფართო შესაძლებლობებს უქმნის განათლების ყველაზე საჭირბოროტო საკითხებზე აზრთა შემოქმედებითს გაზიარებას.

თანამედროვე სკოლის ცხოვრება ისეთი დაძაბული და რთულია, ხოლო სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის საკითხები — ისეთი მრავალფეროვანი, რომ ასეთ "პირობებში ყოველგვარი პედაგოგიური საქმიანობა აუცილებლად მოითხოვს სისტემურ, კომპლექსურ მიდგომას, რომელიც გულისხმობს უნარს ჰარმონიულად უხამებდე ერთმანეთს სასწავლო და აღმზრდელობითს მუშაობას, უქვემდებარებდე მას მთავარ მიზანს — საბჭოეთის მშრომელისა და მოქალაქის, კომუნიზმის აქტიური მშენებლის პიროვნების აღზრდას.

სკოლის მასწავლებლებს რომ მიმართა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მასწავლებელთა საკავშირო ყრილობის ტრიბუნიდან თქვა: „თქვენ, მასწავლებლებს, კარგად მოგეხსენებათ, რომ არ არის და ვერც იქნება ისეთი სწავლება, რომელიც მოწყვეტილია მოსწავლეთა ზნეობრივ სრულყოფას. როცა თქვენ ბავშვებს მათემატიკას ან ისტორიას, ფიზიკას ან საზოგადოებათმცოდნეობას, როშელიც გხებავთ სხვა მეცნიერებას აწყვალით, ამ დროს არა მარტო აძლევთ მათ ცხოვრებაში გამოსადეგ ცოდნას, არამედ ასწავლით გარჯასაც, სიძნელეთა გადალახვასაც, საკუთარი თავისადმი კრიტიკულ მიდგომას, დიდი ამოცანების დასახვას. და, რაც მთავარია, თქვენ ასწავლით მათ დამოუკიდებელ აზროვნებას. ასე და მხოლოდ ასე მიიღება ცოდნის და მრწამსის შენადნობი. ასე და მხოლოდ ასე მიიღწევთ ამას, რომ ახალგაზრდობა ჩვენს დიად იდეებს აღიქვამდეს არა როგორც გაზეპირებულ გაკვეთილს, არამედ როგორც საკუთარი შეხედულებებისა და აზრების სინთეზს.

PRAVDA

23 აგვისტოს მოწინავე

დიახ, სკოლაში ყველაფერი მასწავლებელზე, მის მრწამსზე, თვალსაწიერზე. პედაგოგიურ ოსტატობაზეა დამოკიდებული. ამიტომ მართლაზომიერიც არის, რომ აგვისტოს თათბირების უყურადღების ცენტრში გამოაქვთ საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია პედაგოგთა იდეურ-პოლიტიკური დონის, პროფესიული ცოდნის, შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებასთან. ამ დიდმნიშვნელოვან სკამბანაში მაგალითის, აქტუალური ამოცანების გადაწყვეტისადმი მოვლენილი მიდგომის, მასწავლებელთა საზრუნავისა და სტაკიანარის ღრმა გაგების ნიშნულ უნდა გვიჩვენებდნენ პარტიული და საბჭოთა მუშაკები, სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელები.

მეცხრე ხუთწლედში ბევრი რამ გაკეთდა საშუალო განათლების შინაარსის განახლებისათვის. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, როცა მკვეთრად იზრდება ადამიანისათვის საჭირო ცოდნის მოცულობა, საჭიროა გულმოდგინედ და უნარიანად ვუნერგავდეთ ბავშვებს, ყმაწვილებს თვითგანათლების ჩვევებს, შემოქმედებითს აზროვნებას, ცოდნის სისტემატური შევსების უნარს. როგორ მივაღწიოთ ამას — ეს აგვისტოს თათბირების ერთ-ერთი განსახილველი საგანია.

ათასობით მასწავლებელი წარმატებით დაეუფლა გამავითარებელი, პრობლემური სწავლების მეთოდიკას, დღეს ბევრი მათგანი აქტიურად ეძებს სწავლების ახალ ფორმებს, რომლებიც ყველაზე მეტად შეეფერება თანამედროვე მოთხოვნებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ აგვისტოს თათბირებზე ნოვატორ და ენთუზიასტ პედაგოგთა მუშაობას ღრმად გაიაზრებენ და ღირსეულად შეფასებენ, მერე კი პრაქტიკულად-ც გამოიყენებენ სხვა სკოლებში.

ამ სასწავლო წელს ასორმოცდაათ ათასამდე მასწავლებელი იწყებს მუშაობას. ბუნებრივია, ახალი შევსებისადმი — უნივერსიტეტების, პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებულებისადმი მზრუნველ-ყურადღებას მოველით. პირველი ნაბიჯები ყოველთვის ძნელია ხოლმე ყოველი პროფესიის, მით უმეტეს მასწავლებლობის გზაზე: იმაზე, თუ რა გულისხმიერებით შეხვდებიან გამოცდილი პედაგოგები თავიანთ დამწყებ კოლეგებს, როგორ ამოუდგებიან მათ მხარში უკვე დიდ პედსაბჭოზე, ბევრად იქნება დამოკიდებული ახალგაზრდა მასწავლებლების შემდგომი დაოსტატება, პროფესიული დახელოვნება.

მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში, ტაშკენტში, სხვა ქალაქებში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა: აგვისტოს თათბირების მუშაობაში მონაწილეობას მუდამ იღებენ პარტიული კომიტეტების, ადგილობრივი საბჭოების მუშაკები, სამეურნეო ხელმძღვანელები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი. ასეთი შეხვედრები ყველასთვის საინტერესოა. ისინი მასწავლებლებს შესაძლებლობას აძლევს უფრო ღრმად გაეცნონ ქალაქების, რაიონების, ოლქების ეკონომიური განვითარების პერსპექტივებზე, მეცნიერების და ტექნიკის მიღწევებს, ლიტერატურისა და ხელოვნების სიახლეებს. ამასთანავე აგვისტოს პედსაბჭოში მონაწილეობა დაინტერესებულ მუშაკებს ეხმარება უკეთ გაიგონ ახალგაზრდობის აღზრდის დღევანდელი პრობლემები, განსაზღვრონ თავიანთი ადგილი მათს გადაჭრაში. სწორი იქნება, თუ ეს ტრადიცია საყოველთაო გახდება.

ბევრი მხარისა და ოლქის ადგილობრივი პარტიული ორგანოები აგვისტოს თათბირებს იმისათვის იყენებენ, რომ კიდევ უფრო განამტკიცონ კავშირი სამსწავლებლო პარტორგანიზაციებთან. კომუნისტ პედაგოგებს რომ კრებენ, პარტიის რაიკომები და საქალაქო კომიტეტები მათს ყურადღებას ამახვილებენ პედაგოგიურ კოლექტივებში პარტიული გავლენის გაძლიერების საკითხებზე, ასწავლიან პარტიული მუშაობის თანამედროვე სტილს, მსჯელობენ მსოფლმხედველობითი დისციპლინების აღმზრდელობითი ზემოქმედების ამაღლების გზებზე. ეს ფრიად სასარგებლო და საჭირო საქმეა. და უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ სკოლის კომუნისტებთან მუშაობის ასეთი ფორმა სულ უფრო ფართოდ ვრცელდებოდეს.

სკოლებში გაცხარებული მუშაობის დრო დადგა. რამდენიმე დღეღა რჩება სასწავლო წლის დაწყებამდე. და ჩვენც მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ეს დღეები, რათა პირველი სექტემბერი ყველგან გახდეს ცოდნის ნამდვილი დღესასწაული, შთაგონებული საბუთაო დღე, სკოლის ხუთწლედის ღირსეული დასაწყისი.

მეხუთმილიონე ტონა ფოლადი

ჩერეპოვეცი. (ვოლოგდის ოლქი), 23 აგვისტო. მეხუთმილიონე ტონა ფოლადი გაგლინეს დღეს ჩერეპოვეცის მეტალურგიულ ქარხანაში. წარმატებას ხელი შეუწყო „2000" დგანის სიმძლავრის ათვისების გრაფიკის გასწრებამ, სხვა აგრეგატების მწარმოებლობის გადიდებამ. ღიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა მგლინავთა შეჯიბრებამ, მათ მოწოდებას, რომ ყოველი დგანის წლიურ დავალებას ორი პროცენტით გადაჭარბონ, მხარი დაუჭირეს ქვეყნის ბევრ მეტალურგიულ ქარხანამ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის

გავაძლიეროთ სტანდარტების როლი, გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში მათი უფლებადაბა სტანდარტების როლის გაძლიერებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა საკითხი.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საწარმოები, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები გარკვეულ მუშაობას ეწევიან პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად რესპუბლიკის საწარმოთა 250-ზე მეტ ნაკეთობას მიენიჭა სახელმწიფო ხარისხის ნიშანი.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ღონისძიებათა შედეგად მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთმშენებლობის და სხვა დარგების მოწინავე საწარმოებში იქნება და ინერგება პროდუქციის ხარისხის ძართვის კომპლექსური სისტემები, რომელთა საორგანიზაციო-ტექნიკური ბაზა საწარმოს სტანდარტები.

რესპუბლიკის სამინისტროები, უწყებები და სსრ კავშირის სახსტანდარტს საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო ამთავრებენ მუშაობას მოძველებული სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების გასაუქმებლად. მნიშვნელოვნად გაიზარდა სტანდარტიზაციის მუშაობის მასშტაბები და გაფართოვდა მისი სფერო, რის შედეგადაც სტანდარტების როლი პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლებასა და ხარისხის გაუმჯობესებაში არსებითად გაძლიერდა.

ამასთანავე, დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ბევრი სახეობის პროდუქციის ტექნიკური დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება მთლიანად მოთხოვნილებებს, რომლებიც მრეწველობას დაუსახა სკკპ XXV ყრილობამ. დადგენილია ბევრი შემთხვევა, როცა უხეშად აღოვეკენ სტანდარტებსა და ტექნიკურ პირობებს, უშვებენ დაბალი ხარისხის პროდუქციას, რაც სუსტი საწარმოო და ტექნოლოგიური დისციპლინის შედეგია. მაგალითად, თბილისის „ელექტროშეფლების" (დირექტორი ი. მეიშვილი) და „საკუთფქმეის" (დირექტორი ჯ. თათარაშვილი) ქარხნებში, „ისნის" (დირექტორი ე. ნადირაშვილი) და „ნადიკვრის" (დირექტორი რ. ბუეძე) ფაბრიკებში, ქუთაისის ტყავფეხსაცმელის კომბინატში (დირექტორი რ. ბაბუნაშვილი), სოხუმის სამკერვალო-სატრიკოტაჟო ფაბრიკაში (დირექტორი ტ. ახთია), გულრიფშის ხე-ტყის კომბინატში (დირექტორი გ. ჯანჯღავა), სოხუმის (დირექტორი ს. სკაროზია) და ჩოხატაურის (დირექტორი ვ. ტრაპაიძე) ღვინის ქარხნებსა და სხვა საწარმოებში არცთუ იშვიათად იღებენ სახსტანდარტის სანქციებს უხარისხო საქონლის გამოშვებისათვის.

ბევრ საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციაში ახალი სახეობის პროდუქციის შემუშავებისას ჯეროვნად არ ითვალისწინებენ სტანდარტების მოთხოვნებს, საპროექტო პროდუქციის არ ადარებენ საუკეთესო საზღვარგარეთელ ანალოგებთან, არღვევენ საცდელი ნიმუშებისა და პირველი სერიის გამოცდის წესებს, რომლებიც დადგენილია სტანდარტებში. ამის გამო წარმოებაში უშვებენ ბოლომდე დაუმუშავებელ ნაწარმს, რომელიც არ შეესაბამება ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებებს, მოალბედობია კონკურენტუნარიანობას საგარეო ბაზარზე (ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროთა სპეციალურ საპროექტო-საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ბიუროების, თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს).

რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები და სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო ჯეროვნად არ მუშაობენ იმისათვის, რომ შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში სტანდარტების როლის გაძლიერების შესახებ". ისინი მთლიანად არ იყენებენ სტანდარტიზაციის, როგორც ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარების, წარმოების მართვის, პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ორგანიზაციული მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ საფუძველს; უხარუნველყოფილი არ არის მტკიცე გეზი მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, მოწინავე გამოცდილების, საბჭოური და საზღვარგარეთული პატენტებისა და გამოგონებების ბაზაზე სტანდარტების და ტექნიკური პირობების შემუშავებაში, რის შედეგადაც თვით სტანდარტები და ტექნიკური პირობებიც მთლიანად ვერ ითვალისწინებს თანამედროვეობის გაზრდილ მოთხოვნებს: საკმაოდ აქტიურად არ წარმოებს მუშაობა პროდუქციის სტანდარტიზაციისა და მისი ხარისხის მართვის დასაგეგმავად და დასახვაზეწედ, ჯეროვან პრინციპულობას არ იჩენენ სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დანერგვისა და დაცვის დროს.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში ატესტაციის ჩატარების დროს არის ნაკლოვანებები: ხშირად ხარისხის ნიშანს ანიჭებენ მეორეხარისხოვან ნაკეთობას. მაგალითად, თბილისის „ერამიკული კომბინატი წელიწადში 1,5 ათასა მანეთის ხარისხისნშნიან ღვინის ჭურჭელს უშვებს, მაშინ, როცა წელიწადში სამი მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების მის ძირითად პროდუქციას (მოსაპირკეთებელი ფილები) ხარისხის უმაღლესი კატეგორია არა აქვს.

ზოგიერთი სამინისტრო და უწყება ნელა მუშაობს წარმოებაში სტანდარტების დასანერგავად. ზოგიერთი პროგრესული სტანდარტი წლების განმავლობაში არ ინერგება რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროთა საწარმოებში, საკავშირო

(დასასრული მე-2 გვ.).

რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების III საერთაშორისო კონგრესის მონაწილეებს

ვარშავა

გულითადად მოგესალმებით რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მესამე საერთაშორისო კონგრესის მონაწილეებს. თქვენი შრომა კეთილშობილურია და პატივისცემას იმსახურებს. ენების, მათ შორის რუსული ენის, როგორც ფართო საერთაშორისო ურთიერთობის საშუალების შესწავლა ადამიანთა შორის კულტურული გაცვლისა და კონტაქტების, მათი ურთიერთგაგებისა და თანაშრომლობის დიდმნიშვნელოვანი წანამძღვარია. სწორედ ხალხთა ურთიერთგაგება და თანამშრომლობა მიაჩნიათ საბჭოთა ადამიანებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, მშვიდობის შენარჩუნებისა და მთელი კაცობრიობის პროგრესული განვითარების ეფექტიან საშუალებად. ეს კიდევაც აისახა საბჭოთა კავშირის პოზიციაში უშიშროებისა და თანამშრომლობის სრულიად ევროპის ჰელსინკის თათბირზე და კვლავ დადასტურა სკკპ XXV ყრილობამ.

რუსული ენა, მრავალმილიონიანი და მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის ურთიერთობის საშუალება, სულ უფრო ვრცელდება მსოფლიოს ხალხთა შორის. იგი ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის წვლილს მსოფლიო კულტურის საგანძურში და საბჭოთა ადამიანებისა და სხვა ქვეყნების ხალხებისათვის მისაწვდომს ხდის მსოფლიო ცივილიზაციის სულიერ სიმდიდრეს.

სწორედ ამიტომ რუსული ენა სულ უფრო დიდ ავტორიტეტს იხვეჭს საერთაშორისო ასპარეზზე და მისი დაუფლების სურვილს ულვიძებს პლანეტის მილიონობით ადამიანს. რუსული ენის გავრცელებაში დიდი წვლილი შეაქვს რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საერთაშორისო ასოციაციას, რომელის საქმიანობას მხარს უჭერს მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ათასობით რუსისტი. თქვენი კონგრესი ახალ შესაძლებლობას გაძლევთ, ერთმანეთს გაუზიაროთ მეცნიერული და პედაგოგიური მუშაობის შეძენილი გამოცდილება, დასახოთ შემოქმედებითი თანამშრომლობის შემდგომი პროგრამა.

თქვენს კეთილშობილურ შრომაში შეგიძლიათ საბჭოთა მეცნიერებისა და სიტყვიერების პედაგოგების ყოველმხრივი დახმარებისა და მხარდაჭერის იმედი იქონიოთ.

წარმატებულ მუშაობას ვუსურვებ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მესამე საერთაშორისო კონგრესს და გამოვთქვამ რწმენას, რომ თქვენი მეცადინეობა ხელს შეუწყობს კაცობრობის ნათელი იდეალების განხორციელებას, ქვეყნად მტკიცე მშვიდობის, ხალხთა მეგობრობისა და ურთიერთგაგების დამკვიდრებას.

ლ. ბრეჟნევი.



კრემლიდან მიღებული სტრიქონების სითბო

გვრაზმავს, აღგვაფრთოვანებს

ვაკვრავლოთ დოვლათი

კავკასიონის მთებში სწრაფად გავრცელდა სასიხარულო ამბავი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ილიასძე ბრეჟნევმა მეტად გულთბილი წერილი გაუგზავნა ცხინვალის რაიონის თამარაშენის საბჭოთა მეურნეობის მწველავს თამარ თარაივას, რომლის დიდ სიხარულს იზიარებენ მწველავებიც და მეცხვარეებიც.

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის შთამაგონებელი სიტყვები აღფრთოვანებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი მძლავრი წარმატებები, კერძოდ, მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობა. კრემლიდან მიღებული გულთბილი სტრიქონები კიდევ უფრო მეტს გვავალებს, უფრო მეტი უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ სრული წესრიგი დავამყაროთ მუშაობის ყველა დარგში, ავამოქმედოთ ყველა რეზერვი და საშუალება, გადავიქცეთ ჩვენი რესპუბლიკა მეცხვარეობის კლასიკურ ქვეყნად.

ამ ამოცანის განსახორციელებლად თავდადებით შრომობენ ჩემი ბრიგადის წევრები. მეათე ხუთწლედის პირველ წელს საწარმოებულ ნიმუშად გამოვაზამთრეთ პირუტყვი და ყოველ 100 ნერგზე ამდენივე ბატკანი შევინარჩუნეთ, თვითეულ ცხვარს გაზაფხულზე 2,5 კილოგრამი მატყლი გავპარსეთ.

ახლა იალაღებზე გაჩაღებულია დაუღალავი შრომა, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გასაადიდებლად. მშობლიური კომუნისტური პარტიის ზრუნვის და ყურადღებას სასახელო მაჩვენებლებით ვუპასუხებთ.

გ. სეთურიძე,

სკკპ XXV ყრილობის დელეგატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ყაზბეგის რაიონის სოფლის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ბრიგადის ბრიგადირი.

რესპუბლიკის მშრომელებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულთბილი სტრიქონები. მან თამარაშენელ მწველავს რომ გამოუგზავნა. ქვემოთ ვბეჭდავთ გამოხმაურებებს.

ყველაფერს გავაკეთებთ

ჩემი სოფელი ნარეკვავის ლამაზ ხეობაშია გადაშლილი. აქედან მოსკოვი შორს არის, მაგრამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის შთამაგონებელმა სიტყვებმა თვალწინ წარმოგვიდგინა დიდაჭალაში, კრემლი, საიდანაც, პოეტის თქმისა არ იყოს, იწყება დედამიწა. თვალწინ წარმოგვიდგინა მთელი ჩვენი დიადი სამშობლო, მომმე საბჭოთა რესპუბლიკები, მშვიდობიანი შრომით შთაგონებული ადამიანები.

დიახ, თამარ თარაივას სიხარული ჩვენი საერთო სიხარულია, იგი ყველას გვეკუთვნის, პარტიის მამობრივ ზრუნვას ახალი შრომითი წარმატებებით უნდა ვუპასუხოთ. წველადობის წლიური გეგმა მე პირადად 7 თვეში გავანაღდე — ნაცვლად 1.000 კილოგრამისა თვითეულ ძროხას 1.208 კილოგრამი რძე ჩამოვწველე. მოწინავეთა რიგებშია ჩვენი მეურნეობის თითქმის ყველა მწველავი, ამის შედეგად, მეურნეობამ ნაცვლად 383 ტონისა შვიდ თვეში აწარმოვა 491 ტონა რძე.

მიღწეული ზღვარი არ არის, ყველანაირს გავაკეთებთ, რათა ჩვენი წვლილი შევიტანოთ მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის, კერძოდ, რძის წარმოების საქმეში.

ე. რუბაშვილი,

დუშეთის რაიონის მშვიდობიანი სახელობის მეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მწველავი.

დიდად მეამაყება

აბა სად, რომელ ქვეყანაში შეიძლება ასეთი ბედნიერება და სიხარული განიცადოს უბრალო მეცხოველემ, მწველავმა, როგორიც ჩვენს კოლეგას, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონის თამარაშენის საბჭოთა მეურნეობის ფერმის მწველავს თამარ თარაივას მოუტანა ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელის — მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის წერილმა, მისმა გულთბილმა, გულშიჩამწვდომმა სტრიქონებმა.

პატივცემულო თამარ! გეზმაურებით გეგეკკორიდან, მაგრად გართმევთ ხელს, ჩემი და ჩემი კოლეგების სახელით გილოცავთ ამ დიდ აღიარებას და გისურვებთ წარმატებებს შრომასა და პირად ცხოვრებაში.

მე, როგორც მეცხოველე, დიდად მეამაყება, რომ ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელი ასეთ დიდ ყურადღებას უთმობს ერთი შეხედვით უბრალო პროფესიის— მეცხოველის რთულსა და დაძაბულ შრომას, იფასებს მის გარჯას.

იქნებ, ჩვენ ისე დიდი წარმატება არა გვაქვს, როგორიც თამარაშენელებს, მაგრამ წარსულთან შედარებით ჩვენთან მეცხოველეობა მეტად რენტაბელური დარგი გახდა. ამას ხელი შეუწყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის ცნობილმა დადგენილებამ. ყველაფერი ეს მოამკვლის დიდ რწმენას მინერგავს და ძალას მმატებს მეათე ხუთწლედის დავალებათა პირნათლად შესასრულებლად.

შ. კვანტალიანი,

გეგეკკორის რაიონის ნაგვაზაოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველე, რაიონული სჯბჭოს დეპუტატი.

საკლესიის ცნობა

სადგურ „ლუნა-24-"ის კოსმოსური რეისი დამთავრდა: მთვარის გრუნტი დედამიწაზეა

საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ მთვარის კვლევაში ახალი წარმატება მოიპოვეს: ავტომატური სადგურის „ლუნა-24"-ის ფრენის პროგრამა მთლიანად შესრულდა.

1976 წლის 22 აგვისტოს ავტომატური სადგურის „ლუნა-24"-ის დასაბრუნებელი აპარატი საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გათვალისწინებულ რაიონში დაჯდა და დედამიწაზე ჩამოიტანა მთვარის გრუნტის ნიმუშები, რომლებიც დაახლოებით 2 მეტრი სიღრმიდან არის ამოღებული.

კოსმოსური ექსპერიმენტი რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა. სადგური „ლუნა-24" 1975 წლის 9 აგვისტოს გაფრინდა მთვარისაკენ და შემდეგ გაყვანილ იქნა სელენოცენტრულ წრიულ ორბიტაზე. მერე, მთვარის გათვალისწინებულ რაიონში დაჯდომის უზრუნველყოფის მიზნით, სადგური ელიფსურ ორბიტაზე გადავიდა.

18 აგვისტოს 9 საათსა და 36 წუთზე მოსკოვის დროით ავტომატური სადგური „ლუნა-24" რბილად დაჯდა მთვარის ზედაპირზე კრიზისების ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონში.

სადგურის დაჯდომის შემდეგ დედამიწიდან მიცემული სიგნალსამებრ, გრუნტასაღებმა მოწყობილობამ დაახლოებით ორ მეტრ სიღრმეზე გაბურღა მთვარის გრუნტი. მთვარის გრუნტის ნიმუშები დასაბრუნებელი აპარატის ჰერმეტულ კონტეინერში მოთავსდა.

მთვარეზე მუშაობის დროს ზუსტდებოდა სადგურის ადგილმდებარეობის კოორდინატები და ხორცელდებოდა კოსმოსური რაკეტის სტარტის სამზადისი.

19 აგვისტოს 8 საათსა და 25 წუთზე მოსკოვის დროით კოსმოსურმა რაკეტამ „მთვარე — დედამიწამ" სადგურის დასაჯდომი საფეხური სასტარტო პლატფორმად გამოიყენა და მთვარიდან გამოფრინდა.

მთვარე — დედამიწის ტრასით გადმოფრენის დროს ხორცელდებოდა საბორტო სისტემების მდგომარეობის კონტროლი, ტრაექტორიული გაზომვები.

22 აგვისტოს სადგურ „ლუნა-24"-ის კოსმოსური რაკეტა მეორე კოსმოსური სიჩქარით მოუახლოვდა დედამიწას. ზუსტად გაანგარიშებულ დროს მოხდა დასაბრუნებელი აპარატის მოცილება. დასაბრუნებელი აპარატის ფრენაზე დასაკვშირებელად იყენებდნენ დედამიწის რადიოსალოკაციო და საპელენგაციო საშუალებებს.

ეიროდინამიკური დამუხრუჭების მონაკვეთის ბოლოს, 15 კილომეტრ სიმაღლეზე ჩაირთო საპარაშუტო სისტემა. 20 საათსა და 55 წუთზე მოსკოვის დროით ავტომატური სადგურის „ლუნა-24"-ის დასაბრუნებელი აპარატი დაჯდა გათვალისწინებულ რაიონში — ქალაქ სურგუტის სამხრეთ-აღმოსავლეთით 200 კილომეტრზე.

სადგურ „ლუნა-24"-ის კოსმოსური რაკეტით ჩამოტანილი მთვარის გრუნტის ნიმუშები საკვლევად გადაეცემა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას.

კვლევის შედეგები გამოქვეყნდება.

რუმინელი ხალხის ეროვნული დღესასწაული

საზეიმო კრება თბილისში

ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის გათავისუფლების 32-ე წლისთავს — რუმინელი ხალხის ეროვნულ დღესასწაულს მიეძღვნა თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების კრება, რომელიც 23 აგვისტოს გაიმართა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში.

პრეზიდიუმში არიან: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ნ. კიკვაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზ. კვაჭაძე, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ნ. ენდელაძემ.

მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების რესპუბლიკური განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიკოსმა ვ. ბერიძემ. მან თქვა, რომ ფაშისტური მონობისაგან რუმინეთის გათავისუფლების შემდეგ რუმინელი ხალხის წინაშე ახალი ცხოვრების შენებლობის ფართო ღა ნათელი პერსპექტივები გადაშალა. რუმინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ქვეყნის შრომელებმა საკუთარ ხელში აიღეს სამშობლოს ბედი და განახორციელეს კარდინალური სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები. საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს ახორციელებენ, ახარებთ მომძე რუმინელი ხალხის მონაპოვრები.

საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების რესპუბლიკური განყოფილების გამგეობის წევრმა, თბილისის მეორე მუსიკალური სასწავლებლის დირექტორმა თ. გადელიამ, ფოლადოთუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეტა ბრიგადირმა სოციალისტური შრომის გმირმა გ. კურტანიძემ, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტმა მ. ხარაძემ ილაპარაკეს ქართველი და რუმინელი ხალხების ტრადიციულ მეგობრობაზე, გულთბილ შეხვედრებზე რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანთან, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტთან ნ. ჩაუშესკუსთან, რომელიც ამას წინათ იყო საქართველოში, აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის გულწრფელი მეგობრული ურთიერთობა განუხრელად ვითარდება და მტკიცდება. მათ რუმინელ მშრომელებს მიულოცეს ეროვნული დღესასწაული.

კრების მონაწილეებმა მიიღეს მისალოცი დეპეშები სსრ კავშირთან მეგობრული ურთიერთობის რუმინეთის საზოგადოებისა და სსრ კავშირში რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საელჩ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გავაძლიეროთ სტანდარტების როლი, გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი

(დასასრული)

სამინისტროებსა (მაგალითად, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა) და სხვა... საწარმოებში,

მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების მატერიალური ბაზა და მეტროლოგიური უზრუნველყოფის ორგანიზაცია. რესპუბლიკის ბევრ საწარმოში ტექნიკური კონტროლის სამსახური მთლიანად კარგ სარულებს თავის ფუნქციებს ტექნოლოგიური პროცესების დარღვევის თავიდან აცილებისა და დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების აღკვეთაში.

საჭიროა გაუმჯობესდეს ახალგაზრდობას პროფესიულ-ტექნიკური მომზადების სისტემა, მართვის ოსტატობისა და პროფესიული ჩვევების მასობრივი სწავლების პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს მუშობის ხარისხის გაუმჯობესებას. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიული ორგანიზაციები ჭეროვან მომთხოვნელობას არ იჩენენ სამეურნეო ხელმძღვანელებისადმი მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების უზრუნველყოფისათვის, არ ეწევიან კოლექტივებში საკმაოდ ეფექტიან ხემზრდელობითს მუშაობას სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დასაცავად, შრომის შეიდგენისათვის პასუხისმგებლობის ასამაღლებლად.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ პროდუქციის გამოშვების ტექნიკური დონის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის მიმდინარე მთელ მუშაობაში, რაც უთუოდ აგვამაღლებენებს წარმოების ეფექტიანობას, ხელს შეუწყობს ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასა და მატერიალური და შრომითი დანახარჯების დაზოგვაში, აუცილებლად უნდა ეფექტმძღვანელოთ იმ დებულებებითა და ამოცანებით, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა დასახა პარტიის XXV ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში.

დადგენილებით საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს, სსრ კავშირის სახსტანდარტს საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოს ევალებათ, რომ:

დანერგონ 1976 წელს ყველა საწარმოში, გაერთიანებასა და ორგანიზაციაში „ძირითადი დებულებები მანქანათმშენებლობისა და მრეწველობის სხვა დარგების პროდუქციის ატესტაციის წესის შესახებ", რომლებიც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახსტანდარტმა შეიმუშავეს.

ვანახორციელონ გადამჭრელი ღონისძიებები, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი სამრეწველო პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულობა და რაც შეიძლება მალე მოიხსნას წარმოებიდან მეორე კატეგორიის მორალურად მოძველებული პროდუქცია;

1976 წლიდან დაწყებული შემოიღონ მკაცრი წესი, რომელიც ითვალისწინებს, რომ შეიმუშაონ, ითვისონ და აწარმოონ ისეთი ახალი პროდუქცია, რომელიც მხოლოდ ხარისხის უმაღლესი კატეგორიისა იქნება და, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. — პირველი კატეგორიისა;

უზრუნველყონ, რომ დროზე დაინერგოს ახლად შემოღებული პროგრესული სტანდარტები რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში;

1976-1977 წლებში მოაწყონ გაზომვის, გამოცდისა და კონტროლის იმ მეთოდებისა და საშუალებების ახალიხა, რომლებსაც იყენებენ საპროექტო-კონსტრუქტორო და სამეცნიერო-კვლევითს ორგანიზაციებში და ამ ანალიზის საფუძველზე შეიმუშაონ და დამტკიცონ გაზომვის, გამოცდისა და კონტროლის ტექნიკური დონის ამაღლების ღონისძიებათა გეგმები.

წლიურს განახილონ და სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით დაამტკიცონ დებულება საწყობი მეტროლოგიური სამსახურების შესახებ იმ ტიპობრივი დებულებებს შესაბამისად, რომლებსაც სსრ კავშირის სახსტანდარტი ამტკიცებს;

ანაღლონ საწარმოთა ტექნიკური კონტროლის განყოფილებების როლი პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლებისადმი კონტროლის გაძლიერებისათვის ბრძოლაში.

რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ თბილისის დ. ი. მენდელეევის სახელობის მეტროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბილისის ფილიალთან და სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოსთან ერთად 1976 წელს შეიმუშაონ ჩაის, ღვინის, ციტრუსისა და თამბაქოს სტანდარტიზაციის პროგრამა და ამ პროგრამების სარეალიზაციო წინადადებები შეიტანონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, გაერთიანებებს, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს მიეთითოთ, რომ 1976 წლიდან დაწყებული, შეიტანონ სახალხო-სამეურნეო გეგმებში ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრავს ასათვისებელი და გამოსაშვები პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლებას, კერძოდ:

სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი სამრეწველო პროდუქციის მოცულობა სასაქონლო პროდუქციის საერთო მოცულობის პროცენტულად ფულადი და ნატურალური გამოსახულებით პროდუქციის ჯგუფების მიხედვით, როგორც რესპუბლიკური, ისე საკავშირო დაქვემდებარების სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების ხაზით;

გამოსაცვლელი და წარმოებიდან მოსახსნელი ხარისხის მეორე კატეგორიის სამრეწველო პროდუქციის ნომენკლატურა;

შესამუშავებელ და ასათვისებელ ახალ სახეობათა სამრეწველო პროდუქციის ნომენკლატურა, რომლის ხარისხი შეეესაბამება ხარისხის უმაღლეს კატეგორიას, ავრეთვე სამოდერნიზაციო და გასაუმჯობესებელ სახეობათა პროდუქციისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს მიეთითა, რომ საჭიროა განაზოგადოს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, გაერთიანებების, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების წინადადებები ასათვისებელი და გამოსაშვები პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლების შესახებ, მოამზადოს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტის შესაბამისი ნაწილი და განახორციელოს კონტროლი მისი შესრულებისადმი.

რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ვითარებაში სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების როლის ზრდასთან დაკავშირებით უნდა გააძლიერონ მომთხოვნელობა დასამტკიცებლად წარმოდგენილი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების მეცნიერულ-ტექნიკური დონის ამაღლებისადმი.

სსრ კავშირის სახსტანდარტს საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოს დაეკვალა გაძლიერეს ზედამხედველობა იმისადმი, რომ სრულდებოდეს სტანდარტებს მოთხოვნები და ტექნიკური პირობები სამრეწველო ნაწარმის, მეტალური სახალხო მოხმარების საქონლისა და კეების პროდუქტების შემუშავების, შექმნის, დანერგვის, წარმოებისა და ექსპლოატაციის ყველა სტადიაზე; გაუმჯობესონ სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფა ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციით, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქციის სტანდარტიზაციის, უნიფიკაციისა და ატესტაციის სამუშაოებთან.

რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის სახსტანდარტს საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოს დაეგალათ გადასინჯონ სტანდარტიზაციის საკითხებზე მომუშავე რესპუბლიკის საბჭოთა ორგანიზაციების ნუსხა, ამასთან დაბუსტონ აღნიშნული ორგანიზაციებისათვის მიჩენილი პროდუქციის ნომენკლატურა (სსრ კავშირის სახსტანდარტთან შეთანხმებით).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სამინისტროებს, უწყებებს, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებსა და სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოს მიეთითოთ, რომ აუცილებლად უნდა შეისწავლონ რესპუბლიკაში საცდელი ცენტრების შექმნის საკითხი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს დაავალა ავრეთვე დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებები, რათა მკვეთრად გაუმჯობესდეს სტანდარტიზაციის საკითხებზე მომუშავე რესპუბლიკური სამაზო ორგანიზაციების მუშაობა;

შემოიღონ პროდუქციის სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და ხარისხის მართვის საფუძვლების შესწავლა ყველა კატეგორიის წარმოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაში, ავრეთვე ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებელ ინსტიტუტებში (ფაკულტეტებზე).

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებს, რაიკომებს, საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს დაეგალათ სამაღლონ მმრომელთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის ფონე, განახორციელონ იგი სტანდარტების მოთხოვნების, ტექნიკური პირობებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების შესრულებისადმი დიდი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. (საქინფორმი).

ყოველთვის ვიცოდეთ: რა ხდება ჩვენს გვერდით, ჩვენს ირგვლივ, თანამედროვე ინფორმაციის ეპოქაში — მივბაძოთ, ვიყოთ — ბუნებრივ-მეცნიერულოთ! — აი რაზე მოგვითხრობს მოწინავე ბრიგადირი ამ ფურცელზე.

ჩვენი ღვაწლის საფასო

ხაკმაო დრო გავიდა, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესახებ", მაგრამ ჯერაც არ განელებულა ის შთაბეჭდილება, რომელიც კერძოდ, საქართველოს მუშათა კლასზე ამ მნიშვნელოვანმა მოვლენამ მოახდინა.

როცა ვკითხულობთ, ვეცნობით და ვსწავლობთ ამ ისტორიულ დოკუმენტს, ვგრძნობთ, რომ იგი დასტურია იმ განსაკუთრებული ზრუნვისა და ყურადღებისა, რასაც ჩვენი რესპუბლიკისადმი, მაგი მშრომელებისადმი თვითეულ ი კომუნისტთან ერთად სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო და პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

პარტიის თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ ოთხი წლის წინათ მიღებული დადგენილება სწორედ რომ დროზე წამოგვეშველა, რომ იტყვიან, სულზე მოგვახწრო, როცა მოშვებულობის გამო წონასწორობას თანდათან კარგავდით.

ამის ხაილუსტრაციოდ მარტო ქუთაისის მაგალითიც კმარა.

მუშაობაში დაშვებული უხეში შეცდომების გამო, ადგილებზე ნეგატიური მოვლენების აშკარა შეუფასებლობამ ქალაქის ხელმძღვანელობას, მის აქტივს დაუკარგა ცოცხალი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის უნარი. 1971-1972 წლებში ყოველი მეოთხე საწარმო ვერ ახორციელებდა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის დავალებებს, უარესდებოდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, სხვადასხვა ჯურის მაქინატორები და ხაქმოსნები ისე დათარეშობდნენ, როგორც სურდათ.

გასული ხუთწლედის მარტო პირველ ორ წელიწადში სამასზე მეტმა კაცმა მუშა-სპეციალისტმა მიატოვა ფაბრიკა-ქარხნები და ოფლი ცხოვრების მიზნით ხავაკრო, ხაყოფაცხოვრებო და ადგილობრივი მრეწველობის ობიექტებს შეაფარა თავი. 1.200 უნებართვო სახლი აშენდა ამ პეროიდში ქალაქში, ახალგაზრდობის ნაწილი მოლიპულ გზას დაადგა. მწარე მოსაგონებელია, მაგრამ, ფაქტია, რომ მომხვეველობა, ძალბიზმა, მექრთამეობა, პროტექციონიზმი აშკარად ებრძოდა კანონიერებას, სინდისს, პატიოსნებას.

რატომ ვიგონებთ ყოველივე ამას? სწორედ იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ ნათლად შევიგრძნოთ დღევანდელი პოზიტიური ძვრების დიდი სიკეთე, რომელიც ნათლად ჩანს ჩვენი ცხოვრებისა და შრომის ყოველ უბანზე, იმიტომაც, რომ ფარსული აღარ განმეორდეს, მოვიგონოთ იმიტომაც, რომ რაც გაკეთდა, მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი საქმისა, რომელიც წინ გვიდგეს!

დიდი სკკ-ბაასი, რომელიც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმზე გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების გამო, დღეს ადგილებზე გრძელდება.

ჩემს თავს უფლებას ვაძლევ გაგიზიარონ ზოგიერთი მოსაზრება, რაც პლენუმის შემდეგ დამებადა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის მუშაობაში მეც ვმონაწილეობდი. მაშინაც აღვნიშნე და დღესაც უნდა გავიმეორო: სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების გადაწყვეტილებათა პრეამბულაში და შესრულებისათვის დაყენებულმა დროულმა ორგანიზატორულმა და პოლიტიკურმა მუშაობამ ჩვენში გააძლიერა იმის ხუროილი, რომ დღეს ვიმუშაოთ უკეთ, ვიდრე გუშინ, განვსაზღვროთ ჩვენი ადგილი და წვლილი, შევიგრძნოთ პირადი მოვალეობის აუცილებლობა და პასუხისმგებლობა ამ დადგენილების მოთხოვნათა შესრულებაში.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ დღეს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის თანამონაწილეობას — „სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას — მუშური გარანტია", „არცერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით".

ქუთაისელმა მშრომელებმა იმთავითვე აუბეს მხარი რუსთაველოს ინიციატივას. ეს ჩვენთვის ხასხლორიცეული საკითხია, რადგან ამ საქმეში ხერხიოზული ხარვეზები გვაქვს.

ჩვენ დავინტერესდით თუ როგორია შრომის დისციპლინის დარღვევებთან გამოწვეული ზარალი, და აღმოჩნდა, რომ მარტო შეიშან არასაპატიო მიზეზებით გაცდენებმა ჩვენს ქალაქში მთელი სამუშაო დროის 7 პროცენტს მიაღწია, 44 ათასი კაცდღეს გაცდა და სახელმწიფოს 3,5 მილიონი მანეთის პროდუქცია დაკარგა. თუ ამას შიდამოცდენებსაც დავუმატებთ (შიდამოცდენები ეფექტური დროის 2 პროცენტს შეადგენს), მაშინ გამოდის, რომ ერთი წლის მანძილზე 5 მილიონი მანეთის პროდუქცია ვერ ვაწარმოეთ!

ამ დღეებში ლითოფონის ქარხანაში, იქ, სადაც მე ვმუშაობ, გაიმართა მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა საერთო კრება, რომელმაც განიხილა რუსთაველთა ინიციატივა, ქმიმკოსებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ახალ თაოსნობას, რომელიც მიზნად ისახავს მეათე ხუთწლედის მთავარი ამოცანის განხორციელებას — წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილებამ ერთხელ კიდევ უფრო ღრმად ჩაგვახედა ჩვენს მუშაობაში, დაგვანახა ის ნაკლოვანებანი და ხარვეზები, რაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვაქვს. კომუნისტი არღვევს პარტიის საწესდებო მოთხოვნებს, სჩადის დანაშაულს, არღვევს შრომითსა და საწარმოო დისციპლინას, აწარმოებს უხარისხო პროდუქციას... ესეც ხომ არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობასა და დაბალ მომთხოვნელობაზე მეტყველებს? საჭიროა ისე მოეწყოს პარტიულ-ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, რომ კომუნისტი მაგალითის მიმცემებელი იყოს ყველგან და ყველაფერში.

ჩემი აზრით, კიდევ უფრო უნდა გამჭვავდეს დაწყებული ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. განსაკუთრებით დამაფიქრებელია ე. წ. „წვრილმანი" ქულიგანის ფაქტები, რაც ზოგიერთ შრომითს კოლექტივში, მათ შორის ლითოფონის ქარხანაშიც გვხვდება. საკმარისია აღნიშნოს, რომ ქუთაისში 1975-1976 წლებში მოხდა „წვრილმანი" ქულიგანის ბევრი შემთხვევა, რაც ფულად გამოსახულებაში 42.461 მანეთს შეადგენს. განა უს ფაქტები ჩვენს გვერდით არ მოხდა? რასაკვირველია, და სწორედ ამიტომაც არის საჭირო უარყოფითი მოვლენების მიმართ გულგრძელი დამოკიდებულების დღევდე შემორჩენილ ასეთ მოვლენებს შეურიგებელი ბრძოლა გავუმართოთ. ეს იქნება ჩვენ კომუნისტური მოვალეობა, ლირსების საქმე.

ყოველივის ვიცოდეთ: რა ხდება ჩვენს გვერდით, ჩვენს ირგვლივ.

ა. კორძაძე,
ქუთაისის ლითოფონის ქარხნის თუთიის საამქროს ბრიგადირი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი.

„სალუტ-5": ექსპერიმენტები გრძელდება

ფრუნზის მართვის ცენტრი, 23 აგვისტო. (საკადესი). მეშვიდე კვირა მთავრდება, რაც ბორის ვოლინოვი და ვიტალი ეოლობოვი კოსმოსში დაფრინავენ „სალუტ-5" ორბიტული სამეცნიერო სადგურით.

აქტიური დასვენების დღის შემდეგ კოსმონავტები მეცნიერული კვლევის კომპლექსს ასრულებდნენ ინფრაწითელი ტელესკოპ-სპექტრომეტრის მეშვეობით. ამასთანავე ვრძელდებოდა დედამიწის ზედაპირიდან სხვადასხვა სიმაღლეზე ატმოსფეროში ცალკეული კომპონენტების შემცველობის შესწავლის მიზნით დედამიწის ატმოსფერის გამჭვირვალების განსაზღვრის ექსპერიმენტები. კვლევა ინფრაწითელი სპექტრის ფართო დიაპაზონით ხორციელდებოდა დედამიწის კონტინენტური რაიონებისა და მსოფლიო ოკეანის აკვატორიის თავზე. შესრულდა აგრეთვე მზისა და მთის ატმოსფეროს ინფრაწითელი გამოსხივების მორიგი კვლევა.

ორბიტული სადგურის სამორტო სისტემები და სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს. ეკიპაჟის ორივე წევრი თავს ჯანმრთელად და კარგად გრძნობს. ფრენა გრძელდება.

პარტიულ ორგანიზაციებში

ორჯონიკიძე. პარტიის რაიკომმა ჩატარა თეორიული კონფერენცია თემაზე: სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ" და მისი საერთო პარტიული მნიშვნელობა.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. დვალიანმა.

გ. ჭანტურია.

საჩხერე. რაიონის კულტურის განყოფილებამ, კულტურის განყოფილების პარტიულმა ორგანიზაციამ და სარაიონო ბიბლიოთეკამ რაიონის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთათვის ვამართეს თეორიული კონფერენცია, მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 22 ივნისის დადგენილებისადმი.

კონფერენციაზე ამომწურავად გაშუქდა ამ ისტორიულ დადგენილებასთან დაკავშირებული მრავალი საინტერესო საკითხი.

ა. კაპანაძე.

ყაზბეგი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფმა ყაზბეგის რაიონში მოაწყო ლექციური პროპაგანდის ერთკვირეული თემაზე „მაღალი შეფასება, დიდი პასუხისმგებლობა". მისი მიზანი იყო მშრომელებისათვის ფართოდ განემარტა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დიდმნიშვნელოვანი დადგენილება საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობის შესახებ.

ვ. ჩქარეული.

ამბროლაური. პარტიის რაკომში ჩატარდა პირველი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირი მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

პარტიული ორგანიზაციის მდივნებმა ილაპარაკეს იმ ღონისძიებებზე, რასაც ისინი ატარებენ ამჟამად მომავალი სასწავლო წლის მაღალ დონეზე წარმართვისათვის.

ქ. ბოსოლელიძე.

უტევენ ყამირს

წლეულს მელიორაციისა და ირიგაციის აფხაზეთის № 5 მექანიზაციის სამელიორაციო სამმართველოს კოლექტივმა უნდა განახორციელოს 1.820 მანეთის მიწის სამუშაოები, აქვთ პირველი წარმატება. ვადამდე გაანადლეს 8 თვის დავალება. გეგმის დამატებით გალის რაონის მეურნეობებს გადასცეს 50 ჰექტარი მიწა, რომლებზეც გაეყვანენ კვლებს ჩაის ბუჩქების დასარგავად. სურათებზე: საუკეთესო მექანიზატორი ვალერი ჭალადანია, რომელიც ხასელოვნად შრომობს გალის რაონის ხიდის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში კვლების გაყვანის სამუშაოზე. მძლავრი ტექნიკა ყამირ მიწას უტევს.

ი. ჰუსონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

აი რა გვიჩვენა დათვალიერებამ

სიმინდის ჰიბრიდი ახალ მიწაზე

მარცვლეულის წარმოებისა და დამზადების დაგალების შესრულებაში გარკვეული წილი სიმინდზე მოდის. სიმინდი ძვირფასი სასურსათო, საფურაჟე, სასილოსე კულტურაა. მის მოყვანას ოდითგანვე მისდევენ გეგეჭკორელები. ამ უკანასკნელ წლებში მეტი ყურადღება დაეთმო ამ კულტურის მოგლა-დამუშავებას და მოსავლიანობაც გაიზარდა.

სწორედ ამ საკითხს მიაქციეს ყურადღება სიმინდის რეპუბლიკური დათვალიერების კომისიებმა. დათვალიერებამ ცხადყო, რომ გეგეჭკორელებს ასე კარგად მოვლილი სიმინდი წინა წლებში არასოდეს არ ჰქონიათ.

რაიონის მშრომელებმა ერთსულოვნად მხარი დაუჭირეს აბაშის რაიონის სოფელ ტყვირის კოლმეურნეობის მშრომელთა მტკიცე გადაწყვეტილებას — ყველგან და ყველაფერში განაგრძონ სოციალისტური დისციპლინა და ყმელაფერი ტექნიკურ-ეკონომიკურ ინდიკატორებს ეფექტიანად ებრძოლონ. ეს ინიციატივა ეფექტიანად ებრძოლონ. ეს ინიციატივა ეფექტიანად ებრძოლონ. ეს ინიციატივა

ახალციხის № 21 სპეციალიზებული მოძრავი მექანიზებული კოლონის (უფროსი ა. მუჯადიანი) მშენებლებმა დამკვიდრებულად გამოიცხადეს მეათე ხუთწლედის პირველი წელიწადი. შექმნეს რამდენიმე კომპლექსური ბრიგადა, რომლებიც ზლობინის მეთოდით მუშაობენ სხვადასხვა სამშენებლო ობიექტზე.

ერთმა ასეთმა ბრიგადამ, რომელსაც მშენებელ-ტექნიკოსი ს. ნათენაძე ხელმძღვანელობს, წლეულს ქალაქ ახალციხეში დაიწყო 45-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და ვალდებულება იკისრა იგი სწრაფად, ხარისხიანად აშენოს, საშენი მასალა მომჭირნეობით გამოიყენოს, შეამციროს მშენებლობის თვითღირებულება და საექსპლოატაციოდ გეგმით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე გადასცეს.

სახლის მშენებლობა მართლაც სწრაფი ტემპით წარმართა ბრიგადამ, რომელშიც 40 მშენებელი მუშაობს, ხუთ თვეში ფაქტიურად დაამთავრა ამ ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, გასაშენებელი დარჩა მხოლოდ საკვები და ისიც ალბათ უკვე დიდი ხნის დამთავრებული ექნებოდათ, რომ ქალაქის საბჭოს სამშენებლო ტერიტორია ბათუის დროულად გამოეყო.

— ამ სახლის მშენებლობის დამთავრება, — აბობს სამუშაოთა მწარმოებელი გ. ბალაძე, — მაისისათვის იყო გათვალისწინებული, ჩვენ კი წლეულსვე ჩამოვხსენთ ხარაჩოები... თ. გვარამაძის კომპლექსური ბრიგადა დაბა ადიგენში აშენებს 24-ბინიან კომუნალურ საცხოვრებელ სახლს. როგორც ჩანს, მშენებლები ამ სამშენებლო ობიექტსაც ვადაზე ადრე გადასცემენ საექსპლოატაციოდ.

ეს კარგია, თვალს ახარებს, მაგრამ ყველგან ასე შეუფერხებლად როდი მუშაობენ.

ამ სამშენებლო ორგანიზაციისათვის ერთ-ერთი ყველაზე პასუხსაგები უბანია ახალციხის პროფტექნიკუმის სასწავლებლის კომპლექსის მშენებლობა, რომელის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება თითქმის 3 მილიონი მანეთია.

მშენებლობა შარშან დაიწყეს და 475 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულეს. წლეულს გეგმით 700 ათასი მანეთი უნდა აითვისონ. შვიდ თვეში გათვალისწინებული 400 ათასი მანეთის ნაცვლად 275,5 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულეს. ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ ამ ობიექტზე გეგმის შესრულება საფრთხეშია.

ჩამორჩენის მიზეზების დასადგენად მშენებლებს ადგილზე ვეესტუმრეთ.

სამუშაოთა მწარმოებელმა გ. ბასიაშვილმა ელექტროკვინტი შემოგვიჩივლა, მკაცრი ზამთარი იყო, მაგრამ იანვარ-თებერვალ-მარტში მთავარი კორპუსის მშენებლობაზე მაინც ვმუშაობდით, საძირკველს ვამზადებდით. აპრილიდან კი, როცა დათბა და წესით მუშაობა კიდევ უფრო სწრაფი ტემპით უნდა ვგაზიდებულიყო, პირიქით მოხდა, მშენებლობა შეჩერდა, რადგან ტრესტ „მშენინდუსტრიის" თბილისის რკინა-ბეტონის ნაწარმთა № 3 ქარხანამ არ მოგვაწოდა გრაფიკით გათვალისწინებული პირველი სართულის რკინა-ბეტონის ბოძები და სხვა მასალა.

სავარეველია, მაგრამ ფაქტია, რომ ამავე ქარხნიდან მშენებლებმა ჯერჯერობით მხოლოდ მესამე და მეოთხე სართულების რკინა-ბეტონის კონსტრუქციები მიიღეს. ცხადია, მათ ვერ გამოიყენებენ, ვიდრე პირველი და მეორე სართულების მშენებლობის საქმეს არ მოაგვარებენ. ამიტომ მშენებლები ხუთრობენ, ამ კორპუსის მშენებლობა ახლა პირდაპირ სახურავიდან უნდა დავიწყოთ, ბოძებს კი მერე შეეუყენებთ, როცა ქარხნიდან მიგვლებთო(!).

ამ ობიექტზე ზამთრის თვეებში უფრო მეტი მუშახელი იყო დასაქმებული, ვიდრე ახლა. იანვარ-თებერვალში აქ 50-60 კაცი გამოდიოდა სამუშაოდ, მარტში — 65 კაცი, ახლა კი მხოლოდ 30 მუშა ჰყავთ.

ასეთივე მდგომარეობაა ახალციხის ავტოტექმომსახურებლის საგზურის მშენებლობაზე. მისი სამშენებლო ღირებულება 800 ათასი მანეთია. ეს შენობაც თითქმის მთლიანად რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით უნდა აშენდეს. ამაც იანვარ-თებერვალ-მარტში 45 მშენებელი მუშაობდა. მთავარ მზადეს მთელი შენობის საძირკველი და ძირითადი სამშენებლო მასალა (რკინა-ბეტონის ბოძები, კოჭები, გადასასვლელი ფილები) რომ ვერ მიიღეს, მუშების ნაწილმა მშენებლობა მიატოვა და სხვაგან წავიდა. ახლა აქ მხოლოდ 20 კაცი-ა მუშობს.

ამის შესახებ გვესაუბრა № 21 სპეციალიზებული მოძრავი მექანიზებული კოლონის უფროსი ა. ჩეოადიანი და გვიჩვენა განრიგი, რომლის მიხედვითაც ტრესტ „მშენინდუსტრიის" რკინა-ბეტონის ნაწარმის № 2 და № 3 ქარხნებს წლეულს 15 აგვისტომდე ახალციხელი მშენებლებისათვის უნდა მიეწოდებინათ 2.400 კუბური მეტრას მოცულობის რკინა-ბეტონის სხვადასხვა კონსტრუქცია, მათ შორის რკინა-ბეტონის ბოძები და პირველი სართულის სხვა კონსტრუქციები. ამ ვადისათვის მშენებლებს მიღებული ჰქონდათ მხოლოდ 450 კუბური მეტრი მოცულობის რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, ანუ გათვალისწინებულის 19 პროცენტი.

მშენებლებმა რამდენჯერმე მიმართეს ტრესტს „მშენინდუსტრიისა" და თბილისის რკინა-ბეტონის ნაწარმის № 2 და № 3 ქარხნების ხელმძღვანელებს, რომ დაეცვათ განრიგი და მათთვის დაუყოვნებლივ გამოეგზავნათ პირველი სართულის რკინა-ბეტონის ბოძები, კოჭები, გადასასვლელი ფილები, მაგრამ ჯერჯერობით მათგან არც პასუხია და არც საქმიერ კონსტრუქციები.

ახალციხის № 21 სპეციალიზებული მოძრავი მექანიზებული კოლონის კოლექტივს სურს ორი ვარძიის ტურბაზის მშენებლობაზე აქვს კარგად. აქაც აკლია მუშახელი და სხვადასხვა სამშენებლო მასალა — პროფილირებული რკინა, ლინოლეუმი, პარკეტი, მოსაპირკეთებელი ფილები, წყალსადენისა და საკანალიზაციო მილები, სანტექნიკური მოწყობილობა. აქაურ მშენებლებს მეათე წლის თითქმის საგანგ პირობებში უხდებათ მუშაობა. განსაკუთრებით უჭირთ ზამთარში, როცა დახურულია ტურისტული სეზონი. მაშინ აქ არც სასადილო მუშაობს და არც ბუფეტი. მუშებს წლეულს აგვისტოს შეა რიცხვებამდე ისევ არ მიეღოთ საგანგ ხარჯები.

წლეულს „ვარძიის" ტურბაზის მშენებლობაზე დაშვებულია 276 ათასი მანეთი. აქედან პირველი აგვისტოსათვის უნდა შეასრულებინათ 200 ათასი მანეთის სამუშაო, ფაქტიურად კი მხოლოდ 43 ათასი მანეთი აითვისეს.

თუ სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა ტურბაზის მშენებლობა სათანადო სიფრთხილეს მასალათ დროულად არ უზრუნველყვეს და მუშახელის რიცხვიც არ გაზარდეს, ხუთწლედის პირველი წლის დავალება არ შესრულდება, კიდევ უფრო შეფერხდება ისედაც გაჭიანურებული ტურბაზის მშენებლობა.

შ. მაისურაძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

დისციპლინა—ყველგან, ყველა უბანზე!

არც პასუხია, არც მასალები

ახალციხის სამშენებლო ხარაჩოებზე ჩამორჩენა

„საქართველოს კომუნისტი" № 8

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიულ და პოლიტიკურ ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის" მეორეგი, მერვე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: სკ

ცხოვრება ცდის სტუდენტობას

1. ჩვეულებრივი გმირობა

წერილები სმოლენსკიდან

მოსკოვის ერთ-ერთი ავტობუსპორტიდან — ბიკოვოდან ჩვენმა „აკადემიურუზნიკმა“ გეზი სმოლენსკისაკენ აიღო. თავიდან ფეხმა წყმიდა. ჩვენ მაინც გაბედულად მივსეროვავთ სივრცეს. ტურუსი ხედვას აძლევს, ამიტომაც ორიენტირად მოსკოვი-სმოლენსკის გზატკეცილი ავირჩიეთ, მის თავზე მივფრინავთ.

სამსაათნახევაროი მოგანდომეთ სმოლენსკში ჩაფრენას. მოსკოვიდან სმოლენსკამდე ოთხას ოთხმოცი კილომეტრია, გამოდის რომ ჩვენი ლაინერი დაახლოებით მსუბუქი მანქანის სიგზატკეცილო სიჩქარეს — 120 კილომეტრსდა ანვითარებდა საათში.

უცნაურია, მაგრამ კორომთა თავზე რომ გადავიფრენთ ხოლმე, ძრავის გუგუნი შესამჩნევად მატულობს, ალბათ, ხმის ორკეკლი ახლო მანძილიდან რომ ხდება, ამიტომაა ასე. სოფლები კი, თითქოს განქარდნენ, ისევითად წამოყელყელავდებიან. სოფლს ვამბობ თორემ, ეს რანაირიი სოფელია, ორი-სამი რუსული ხატა შესკუბებული გზისპირა ბექზე და ეგ არის სულ. ირა ღა მათი დანახვა რაღაც ამოდენი აღგავსებს ხოლმე. ახლა უფრო ახლოსა ხარ ადთქოს მიწასთან, ადამიანებთან. აქ არ გეშინია რაიმე ხიფათისა, არც ირაკის ახსოვს, სოფელში თვითმფრინავი ჩამოვარდნილიყოს. მაგრამ ეგ როდის მთავარი. უბრალოდ თვალში გეჩხირება ეს სიცარიელე. ცხვრის ფარები არ შეფენილან იალაღებს, საქონლის ჯოგები არ დაბალახობენ საძოვრებზე. ქვაღისა და ხორბლის ნათესთა შეკვთლებული, მომცრო მდელოები საკერებლებად ამჩნევია უკიდეგანო ტრამალებს.

მდელოები, მინდვრები, ტყეები, სადაფის თვლებივით მოციმციმე, ჩუმად მინაბული ტბების წყება, ყველფერი დიდებული და მშვენიერია, ოღონდ ფერთა ამ უჩვეულო ჰარმონიის აკლია ერთი მთავარი კომპონენტი — ადამიანი! მისი ეკონომიური და ბეურნეობრივი მონაწილეობა ბუნებრივ პროცესებში. და კაკლე წამოტეტეტივდება გონების სიღრმიდან უცნაური გრძნობა — ეს ხელოვნურმა შვენიერება, ზეაბოლულ მანორამათა საუფლო რაგორ მიატოვეს ადამიანებმა, როგორ გაიპეტეს იგი ზაფხულის წვიმებისა და ზამთრის ქარებისათვის?

„რა იქნებოდა ეს მინდვრები ჩვენთან, საქართველოში, ჰა?“ — ეფიქრობ ჩემთვის და თვალწინ მიდგება მცირემიწიანი კოლეუურეობები, გადახნული კორტოხები და წარიფები, მიუვალი მთებიდან დაშვებული თოვის მარხილები...

თანდათან ნათელი ხდებოდა ამ ამოცანათა გრანდიოზულობა და თანადროულობა, რომელიც ამ ბოლო დროს დაისახა რუსეთის შავმიწანიადგიანი ზონის ათვისების დაჩქარებისათვის.

საქართველოში მტერი სამხრეთიდან მუდამ შესეხი-ჯავახეთზე მოდიოდა ხოლმე, აქაც მტრებს თავიანთ გზაზე სმოლენსკინა უნდა გამოეკლოთ აუცილებლად, დასავლეთიდან მოსკოვისა და ცენტრისაკენ ერთი გზაა და ისიც სმოლენსკზე გადის...

აკადემიის თავზე გადაფენილი ქარაფშუტლებიდან ორი უმძვინვარესი ომის უმთავრესი ბალიები რუსეთის ამ ნაწილში მომდინარეობდა.

სმოლენსკის ერთ-ერთ სკვერში ასპარეზგანოდ დაყუდებულან ფრანგ დამპყრობელთათვის წარმოეული ნაბოლეონისდროინდელი ბარბაზნები. მწარე მოგონებებს მოეცავს მათი არსება, ვეღარ მეუხარებენ ძველებურად. სული ეხუთებათ უცხო მიწაზე...

მორიალოს კი, ბარბაროლის ობელისკზე მოელი რუსი ხალხის მადლიერების გრძნობის გამომხატველი სიტყვებია ამოკვეთილი პეტრე ბაგრატიონისა და სხვა ცნობილი მხედართმთავრებისადმი.

ბაგრატიონს ციმოგლენილ, ყოგლისშემძლე ადამიანად თვლიდნენ აქაურები. მუხლმოყრილი ელეხები შვილას ემუდარებოდნენ მას. მამას ეძახდნენ — „ბატკო-ბატკოო“...

ამ ბრძოლების მერმე 132-ე წელმა ფანტალო. კვლავ მოიღორეა სმოლენსჩინის ზეცა. მტერმა სიკვლილი თესა. ბოლოს მიიღო მანაც სამაგიერო — კბილებდაცვენილი წამუნძულდა უკან. და თითქოს ტრადიციად იქცაო, ოქის განთავისუფლებაში ქართველი ჯარისკაცებიც მონაწილეობდნენ, მათი საფლავები ჯერ კიდევ დაუდგენელია. სახელები და გვარები — ამოუკითხავი...

„მთაწმინდიდან ხმოლენსკამდე
გზაა შორი,
უფრო შორი — გზა ბრძოლის
და მწუხარების.
გახსოვს, ღამე? — გავუძვერით
ნაღმებს ორნი
და მტრის ბლინდაჟს
შევუკეთეთ უუმბარები“...



ქართველი ახალგაზრდების შრომითი სემესტრი

ეს სიტყვები მირზა გელოვანს ეკუთვნის. სმოლენსკის ოქქიდან ორიც ისე შორს, ოთხმე ბელოორუსიის მიწაზე, სოფელ ოუაკაძი განისგეიტა პოტა-ქომპოი. ძაგრამ ვიდრე ალეარუელებოდა, ძან, ვინ უწყის რადენჯერ მოაყარო სმოლენჩინის ტეოიტორიაზე „ნაღმები გაძვრომა“ და მტრის ბლინდაჟებისათვის „უუბარების შეკეთება“. მაგრამ იგი მარტო როდი იყო ამ დროს. მასთან მიდიოდა დაგალის შესასრულებლად კიდევ სხვა, მეორე ვიღაცა, რომელსაც ეძღვნება კიდევეგი ეს ლექსი.

ოოსლავლში, სტუდენტთა საშენებლო რაზმები ზონალურ შტაბში თავიანთ სამუშაო მაგიდებს უსხედან ამ შტაბის თანამძრომლები. ზონის მთავარი ინჟინერი — თემურ დავლიანიძე, ტექნიკის უსაფრთხოების მთავარი ინჟინერი ავთანდილ ასიტამვილი, უნივერსიტეტის გეოლოგიებული სტუდენტთა საშენებლო რაზმების მეთაური გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტს დოცენტი ვერნი ალფაიძე, ზონალური შტაბის კომისარი ვაჟა ვახვახიშვილი, ლაბორატორიუმთა ინჟინერი ალმა, სპორტიკენიკური ინსტიტუტის რენტგენოლოგი თამარ დონაძე.

როგორც კი საუბარი ქართველი ახალგაზრდებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთობის შეეხო, მთა სმოლენჩინისა და საქართველოს შორის ძველთაგან ზმიდინარე ერთგვარ „ხითესობას“ გაუსვეს ხაზი.

— რა თქმა უნდა, ნითესობა ბირობითი მცნებაა ამ შემთხვევაში. უფრო ამ გრძნობას კეთილგანწყობილება შეეფერება ალბათ, მაგრამ ამას ახლა პრინციპული მნიშვნელობა არ ენიჭება. ჩვენ როცა სმოლენსკში ჩამოსვლა გადაგწყვიტეთ და ოლქის ოსტორობას გადავხედეთ, უამრავმა „სასურველმა“ კომპონენტმა მოიყარა თავი, რამაც, ბუნებრივია, ჩვენი ახალგაზრდების შრომითის განწყობილებაზე დადებითად იმოქმედა, — თქვა ამ საკითხთან დაკავშირებით თემურ დავლიანიძემ.

სტუდენტები ისეთი ხალხია, ყველა უმნიშვნელო დეტალს ათას კუთხიდან მიუდგებიან, მოვლენებს კარგი კუთხებიდან გაქექავენ. სულ სათავისო „ბარცალებს“ დაეძებენ, ისეთი ბარცალები ამ ძველრუსულ მიწაზე ბევრი დაიძებნება... ყველაფერს რომ შეეშვათ, დიდ სამამულო ომში მარტო რამდენი ქართველი ებრძოდა ამ ადგილებში... რამდენნი სამამაცდასო სასუფეველი ჰპოვა. დღეს კი ისეთი გრძნობა გვაქვს, „ამაურებს“, თითქოს წინაპართა ნაკვალევზე ყველანარს ვაშენებდეთ. „ისე“ — ეს ქართული ისოები ამშენებს უდიდეს მშენებლობათა ფასადებს, კედლებს... სინამდვილეში კი ეს ნიშნავს — „ომში დაკარგულთა ხსოვნის ეძღვნება ქართველი ახალგაზრდობისგან“, — განაგრძო კოლეგის საუბარი ავთანდილ ასიტაშვილმა.

სამოთასაფრი ქართველი კომკავშირელი მუშაობს სმოლენსკის რაიონში. მათ ნახავთ მიწმენდრებსა და ბინათმშენებლობებზე, ტყეების გაიუფთავებაზე, როსლავლის ობიექტებზე, შუამიაწისა და დესნაგორსკის მშენებლობათა ხაიარეობებზე.

სამაათასამდე ხასიათი, ამდენნაგე შეხედულება და განსხვავებული დამოკიდებულება ჩვენი საზოგადოების წიაღში არსებული საკითხებისადმი, სხვადასხვა ცხოვრებისეული მოვლენებისადმი, შრომისადმი...

სამაათასი საზრუნავი და საფარდებელი ხელმძღვანელებისა და მეთაურებისათვის...

სამშობლოს სახელით, წინაპართა ჩვენთა სახელით, შთამომავლობის სახელით ქედი უნდა მიეგუმარჯვოთ შრომის, შენებისა და შექმნის უღელს.

ყველა ეპოქას თავისი პრობლემები ჰქონდა.

ჩავთვალოთ, რომ ჩვენი საუკუნე ბენების გაფრთხილების, მისი გამდიდრებისა და კეთილმოწყობის ეპოქაა. წინამორბედი თაობები ხმალსა და ნამგალს ერთდროულად ატრიალებდნენ. მტრის ბლინდაჟებს ბომბებს უკეთუბდნენ“, ჩვენც ვიყოთ მათი ღირსეული მემკვიდრენი. „ბომბების შეკეთებას“ ახლა ალარავინ გვიკეთებს, სახნისსა და ნამგალს მაინც დაგიჩვიოთ ხელი. გავიხსენოთ ძველებური ოროველი და ალოური.

მხოლოდ ერთიანი, დაუღალავი შრომით თუ შევინარსებრთ არასასურველ ტენდენციებს, მოვლენებსა და დროის კაპრიზებს, შევაწონასწორებთ და ბოლოსდა ბოლოს ჩვენს სასარგებლოდ წარვმართავთ.

მხოლოდღა მერმე, ვალმოდღლები ქვეყნისა და საკუთარი სინდისის წინაშე ამაყად მიმოვიტარებთ მზერას ვამწვანებულ სანახებზე, ველ-მინდვრებსა და ზვრებზე, უცნაური, ულამაზესი სხმშვიდე მოგვიცავს და ეკეე ვერავითარი მსჯელობანი და ვარაუდები, მეცნიერთა დამამტკიცებელი პროგნოზები ვერაფერს დაგვაკლებენ...

— საკუთარი სურვილით გამოსწავეთ შიდა ყამირზე, თუ იყო სხვა რაღაც გარემოება? — ვეკითხებით სოფელ ოოზლოვსკში დისლოცირებულ უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტთა რაზმის — „იმერეთის“ მეთაურს, ვაჭრობის ეკონომიკის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტს გიგა ჩაჩუას, სახეგაოჭულ, სანდომიანი შესახედაობის ახალგაზრდას.

— რა თქმა უნდა, საკუთარი სურვილით. ეს იქიდანაც ჩანს, რომ წელს ყამირზე უკვე მეოთხეე ვარ...

— რას გაძლევთ ყამირი?

— დამოუკიდებელი ჩვეულების გამომუშავებაში მეხმარება. მასწავლის კარგსა და ცუდის გარჩევას, ამხანაგების დაფასებას. ნათლად შემახედებს ერთი შეხედვით ტრივიალურ, ანდა უმნიშვნელო მოვლენებზე, ჩვეულებრივ ამბებზე. უცნაურია, მაგრამ, შორიდან ბევრი რამ უფრო გარკვევითა ჩანს თორმე, ვიდრე ახლოდან. ავიღოთ, მაგალითად, სამშობლოს სიყვარული, ხშირად სუფრაზეღა გვახსენებენ ეს მოვალეობა, სინამდვილეში კი იგი ნიშნავს ადამიანის ყველა უმნიშვნელო გამოვლინებაშიც კი იმაზე ფიქრს, რომ შენი ქვეყნის, სამშობლოსა და ხალხის შეურაცხმყოფელი არაფერი ჩაიდინო, შენი საქციელით არ შეურაცხყო შობელი, ახლობელი, უმაღლესი სასწავლებელი, ქალაქი თუ სოფელი და რესპუბლიკა მთლიანად. არ შელახო წინაპართა მიერ სიახლის ფასად მონაპოვარი კულტურა, ზნეობა და მორალი...

წარმოიდგინეთ, ახალგაზრდა შობლების დიფსებასაც სწავლობს. უცნაურია, მაგრამ ასე კია. მარტო რომ რჩება თავის თავთან, ბევრი მერმელი ხედება თურმე რა მექანიკურ უცხოურია ადამიანი, — თქვა ამ საკითხთან დაკავშირებით თემურ დავლიანიძემ.

სტუდენტები ისეთი ხალხია, ყველა უმნიშვნელო დეტალს ათას კუთხიდან მიუდგებიან, მოვლენებს კარგი კუთხებიდან გაქექავენ. სულ სათავისო „ბარცალებს“ დაეძებენ, ისეთი ბარცალები ამ ძველრუსულ მიწაზე ბევრი დაიძებნება... ყველაფერს რომ შეეშვათ, დიდ სამამულო ომში მარტო რამდენი ქართველი ებრძოდა ამ ადგილებში... რამდენნი სამამაცდასო სასუფეველი ჰპოვა. დღეს კი ისეთი გრძნობა გვაქვს, „ამაურებს“, თითქოს წინაპართა ნაკვალევზე ყველანარს ვაშენებდეთ. „ისე“ — ეს ქართული ისოები ამშენებს უდიდეს მშენებლობათა ფასადებს, კედლებს... სინამდვილეში კი ეს ნიშნავს — „ომში დაკარგულთა ხსოვნის ეძღვნება ქართველი ახალგაზრდობისგან“, — განაგრძო კოლეგის საუბარი ავთანდილ ასიტაშვილმა.

სამოთასაფრი ქართველი კომკავშირელი მუშაობს სმოლენსკის რაიონში. მათ ნახავთ მიწმენდრებსა და ბინათმშენებლობებზე, ტყეების გაიუფთავებაზე, როსლავლის ობიექტებზე, შუამიაწისა და დესნაგორსკის მშენებლობათა ხაიარეობებზე.

სამაათასამდე ხასიათი, ამდენნაგე შეხედულება და განსხვავებული დამოკიდებულება ჩვენი საზოგადოების წიაღში არსებული საკითხებისადმი, სხვადასხვა ცხოვრებისეული მოვლენებისადმი, შრომისადმი...

სამაათასი საზრუნავი და საფარდებელი ხელმძღვანელებისა და მეთაურებისათვის...

სამშობლოს სახელით, წინაპართა ჩვენთა სახელით, შთამომავლობის სახელით ქედი უნდა მიეგუმარჯვოთ შრომის, შენებისა და შექმნის უღელს.

ყველა ეპოქას თავისი პრობლემები ჰქონდა.

ჩავთვალოთ, რომ ჩვენი საუკუნე ბენების გაფრთხილების, მისი გამდიდრებისა და კეთილმოწყობის ეპოქაა. წინამორბედი თაობები ხმალსა და ნამგალს ერთდროულად ატრიალებდნენ. მტრის ბლინდაჟებს ბომბებს უკეთუბდნენ“, ჩვენც ვიყოთ მათი ღირსეული მემკვიდრენი. „ბომბების შეკეთებას“ ახლა ალარავინ გვიკეთებს, სახნისსა და ნამგალს მაინც დაგიჩვიოთ ხელი. გავიხსენოთ ძველებური ოროველი და ალოური.

მხოლოდ ერთიანი, დაუღალავი შრომით თუ შევინარსებრთ არასასურველ ტენდენციებს, მოვლენებსა და დროის კაპრიზებს,

ხურათზე: ქართველი სტუდენტები თოვლს აბულულებენ.
ა. მაზნიაშვილის ფოტო.

მუვილობისა და მეგობრობის ენა

ვარშავა. 23 აგვისტო. (საკადესი). ვარშავის კულტურისა და მეცნიერების სასახლეში დღეს გაიხსნა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა III საერთაშორისო კონგრესი, რომლის მუშაობაში მონაწილეობს 50 ქვეყნის 2.000 დელეგატი, მათ შორის საბჭოთა კავშირის დელეგაცია.

ამ საერთაშორისო ფორუმის მონაწილენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას.

კონგრესის დღის წესრიგშია რუსული ენის შესწავლის მეცნიერული საფუძვლები და პრაქტიკა, მისი სწავლების მეთოდები, ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება, რუსული და პოლონური ენების უძველესი კავშირურთიერთობა. რუსიკისტთა ვარშავის შეხვედრაზე წაიკითხავენ 713 მოხსენებას.

ამჟამად რუსულ ენას სწავლობენ მსოფლიოს 90 ქვეყანაში, თქვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. შიდლიაჯმა, რომელიც კონგრესის დელეგატთა წინაშე გამოვიდა. რუსული ენის, დიდი კულტურის ენის საერთაშორისო მნიშვნელობას განსაზღვრავს აგრეთვე საბჭოთა კავშირის მდგომარეობა თანამედროვე მსოფლიოში, მისი კონსტრუქციული მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, რომელიც უდიდესი პატივისცემით სარგებლობს მსოფლიოში, საბჭოთა კავშირის მიღწევები ცხოვრების სხვადასხვა დარგში, რაც აძლიერებს ინტერესს რუსული ენისა და ლიტერატურისადმი.

ჩრდილოეთ ირლანდიის მთავარ ქალაქ ბელფასტში კვლავ გამწვავდა ვითარება. კათოლიკურ რაიონებში ისევ სერიოზული მდგომარეობაა, ქუჩს სროლისა და ავტომანქანების ხმა. ქალაქის ზოგიერთ ქუჩაზე ბარიკადები აღმართა. სურათზე თქვენ ხედავთ ცეცხლმოდებულ ბარიკადებს ბელფასტის ქუჩებში.
იუპი-საკადესის ტელეფოტო.

კორტუგალია **გამოძიების ახალი მონაცემები**

ლისაბონი. საკადესის კორესპონდენტი ე. კოპალიოვი იუწყება.

პორტუგალიის ჩრდილოეთში მოქმედი მემარჯვენე ტერორისტების ბანდის მონაწილეთა საქმის გამო მიმდინარე გამოძიება ყველდღიურად ახალ-ახალ ფაქტებს ააშკარავებს. ისინი ამხელენ ტერორისტთა კავშირს ქვეყნის შიდა მემარჯვენე პოლიტიკურ წრეებთან და მემარჯვენე ემიგრანტულ ძერკამომთრელ ორგანიზაციებთან, რომლებიც საზღვარგარეთ ფოქმედებდნენ და მიზნად ისახავდნენ დაემხოთ ფაშისტური, რომელიც 1974 წლის 25 აპრილის ანტიფაშისტური რევოლუციის შედეგად დამყარდა.

ახლა სულ უფრო ცხადი ხდება, რომ მემარჯვენე ელემენტების ტერორისტული აქციები ფართო და კარგად მოფიქრებული გეგმის ნაწილი იყო, წერს გაზეთი „დიარიუ დი ლიბერადე“. განნდა ავრეთვე ბევრი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ მემარჯვენე ტერორისტების საქმიანობაში გარეული არიან ისეთი მემარჯვენე პოლიტიკური პარტიები, როგორიცა სოციალ - დემოკრატიული ცენტრი. მისი ცალკეული წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ ბრძოლებში მოთამაშეებად ტერორისტთა დანაშაულებრივ მოქმედებაში.

ცნობილი გახდა ისიც, რომ ტერორისტთა ჯგუფის წარმომადგენლები, მათ შორის ქალაქ პორტოს საზოგადოებრივი უშიშროების პოლიციის საოლქო სამმართველოს ყოფილი უფროსი მაიორი მორა ფერეტაკი, ესპანეთის ქალაქ ვიგოში რამდენჯერმე შეიკრიბნენ სამხედრო ორგანიზაციის, ეკრეთ წოდებული პორტუგალიის გინოვაციუფლების დემოკრატიული მოძრაობის მოთავე ალპოიმ კალეიესთან სათათბიროდ. ისინი ტერორისტული აქციების გეგმებს აწყობდნენ.

პრესა სისტემატურად აღნიშნავს, რომ აქამდე ხელისუფლებმა დაუპატიმრეს მხოლოდ უბრალო „ბიჭაკები“, ამ „დიდმნიშვნელოვან პირთა“ ბრძანების შემსრულებლები, რომლებმაც უკვე თავს უშველეს და სახეზეარაერთ ვიეიქნენ, ანდა იმედი აქვთ, რომ დაუსჯელნი დარჩებიან, აკეოდა, ხელისუფალთ ჩვენი დანაშაულებრივი საქმიანობის „აშკარა მტკიცებანი“ არ მოეპოვებათო.

ინგლისი **ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო...**

აბერ შვიდ ათი წელია, რაც ინგლისის მთავრობა ძალოონეს არ იშურებს ქვეყანაში ზომა-წონის მეტრული სისტემის დასამკვიდრებლად. მრავალ ინგლისელს ეს სისტემა ამბარად არ მოსწონს. მათ ჯიუტად არ სურთ კვარტიდან და გირვანქიდან — ლიტრზე და კილოგრამზე, იარდიდან და მილიდან მეტრზე და კილომეტრზე გადასვლა.

ამ სისტემის მთავარი მოწინააღმდეგეა მეწვრილმანე ვაჭრობა. გასულ წელს ხალიჩებით ვაჭრობა მეტრულ სისტემაზე გადავიდა. „ამის შედეგი კატასტროფული აღმოჩნდა, — განაცხადა ინგლისის ხალიჩების ერთ-ერთი წამყვანი ფირმის „ლეონარდის“ დირექტორმა ლ. ბეერსმა, — ვაჭრობა სამჯერ და უფრო მეტად შემცირდა. მყიდველებმა იფიქრეს, რომ ფასები 20 პროცენტით გაიზარდა. ჩვენმა ქოსი და გაურკვევლობა გამეფდა. ხალხი მაინც ფუტებით და დიუიმებით აზროვნებს“.

ამბოდ ეწინააღმდეგებიან წონაში მეტრული სისტემის დამკვიდრების ხორცს ვაჭრებიც. მათ ეშინიათ, რომ მყიდველები უეცბაოდ დაიბნევიან წონის ახალ ერთეულებში, რაც გამოიწვევს საქონლის ჩაწოლას.

არანაკლებ ენერგიული წინააღმდეგობით შეხვდნენ ზომა-წონაში მეტრული სისტემის შემოღებას მომხმარებლებიც. ისინი ეჭვობენ, რომ საცალო საქონლის ვაჭრები მეტრულ სისტემაზე გადასვლით გამოწვეული არეულობით ისარგებლებენ და ჩუჩუმად ფასებს ასწევენ.

ერთი მხრივ ვაჭრებისა და მეორე მხრივ მომხმარებლების წინააღმდეგობამ ხელისუფლება აიძულა ქვეყანაში მეტრული სისტემის შემოღების კანონპროექტი პარლამენტში განიხილოს.

ცხოვრება კი დაჟინებით მოითხოვს ინგლისელებისგან ახალ საზომ სისტემაზე გადასვლას. მაგალითად, ფირმები, რომლებსაც საწარმოები აქვთ ევროპაში, მოუალენი ორიან მეტრულ სისტემაზე. გადავიდნენ 1979 წლის იანვრამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში მათთვის უცხოეთის ბაზრის კარები დაიკეტება.

მიუხედავად მკაცრი წინააღმდეგობისა, მეტრული სისტემა ინგლისში მაინც პოზიციის პოზიციაზე ეპყრობა. ნახევარი წელიწადია, რაც მეტრულ სისტემაზე გადავიდა საფოსტო სამსახური და თვეზის მრეწველობა. ბენზინის ჩამოსასხმელი ყველა სადგური ბენზინს ლიტრობით ასხამს. ყველა სამშობაარობა ახლადშობილებს კილოგრამობით წონიან.

მეტრულ სისტემაზე გადასვლა და მისი პროპაგანდა ქვეყანას იაფი როდი უჯდება; მარტო საგზაო ნიშნების შესაცვლელად, რომლებზეც მანძილი კილომეტრებით აღნიშნეს, ხაზინას რამდენიმე მილიონი გირვანქა სტერლინგი დასჭირდა. დიდი თანხები მოხმარდა აგრეთვე მეტრული სისტემის პროპაგანდას. ეს სისტემა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მიიღეს მხოლოდ პატარა ინგლისელებმა. ბავშვები ადვილად ერკვევიან მისთვის დამახასიათებელ ყოველგვარ სირთულეში.

ბ. ლუგო.

მსოფლიოს აქტივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკადესი და უცხოეთის სააგენტოები იტყობინებიან

ფაქტები, პრობლემები

23 აგვისტო

ღირსსახსოვარი შეხვედრები

ოსლო, ნორვეგიის დედაქალაქში სამ დღეს იყო სტუმრად 170 საბჭოთა მეშახტე. ისინი თბომავლით „ალა ტარასოვა“ მოგზაურობენ ბარენცის, ნორვეგიისა და ჩრდილოეთის ზღვებში. კრუიზით ბერგენე გადოვალასწინებულია შპიცბერგენის კუნძულზე შეკვა. ჯგუფის შემადგენლობაში არიან ქვეყნის უდიდესი ქვანახშირის აუზების წარმომადგენლები: დონბასის, ყარაღანდის, კუზბასის, კემეროვის ოლქის, ურალის მაღაროელები. ეს საინტერესო მოგზაურობა მოაწყვეს საკავშირო პროფსაბჭომ და ინტურისტმა.

ნორვეგიის დედაქალაქში ყოფნისას საბჭოელმა სტუმრებმა ამოგზაურეს ქალაქში, დაათვალიერეს მისი ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ მუზეუმებში. ნამდვილი დღესასწაული იყო მათი შეხვედრა ნორვეგია-სსრ კავშირის საზოგადოების წარმომადგენლებთან. საზოგადოების თავმჯდომარე ხ. ეგიენი ამ ორგანიზაციის ყველა აქტივისტის სახელით გულთბილად მიესალმა საბჭოთა მეშახტიებს.

დიდხანს დაამახსოვრდებათ საბჭოთა მაღაროელებს შეხვედრა მურმანსკის დამოყვრებული ქალაქის — ტრომსეს მუშებთან.

ჩვენ, ნორვეგიელებმა, ვიცით და გვახსოვს, რომ საბჭოთა არმიის წყალობით განთავისუფლდა ფაშისტ დამპყრობთაგან ჩრდილოეთი ნორვეგია, თქვა ამ შეხვედრაზე გამოსვლისას ნორვეგია-სსრ კავშირის საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების თავმჯდომარემ მ. ლორენცენმა, და ამიტომ მოხარული ვართ ჩვენს სამშობლოში ეუმასპინძლოთ საბჭოთა კავშირს წარმოგზავნილთ.

კრუიზის მონაწილეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შპიცბერგენის ნახვამ და ამ მორეულ ჩრდილოეთის არქიპელაგზე მომუშავე საბჭოთა ადამიანებთან შეხვედრამ.

ტურისტებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ერთ დროს შპიცბერგენზე შრომობდნენ. პირდაპირ გაოცებული ვარ: ეს რა ცვლილებები მომხდარა არქიპელაგზე მომუშავე საბჭოთა მეშახტეების შრომისა და ცხოვრების პირობებში უკანასკნელ ხანს, თქვა კრუიზის ერთ-ერთმა მონაწილემ, დონეცკის შახტა „ლიდიევკის“ სამთო ოსტატმა, შრომის წითელი დროშის ორდენისა და მეშახტის დიდების ორი ნიშნის კავალერმა ნ. მ. ზასობამ. ეს მოწმობს, თუ რა უდიდეს ზრუნვას და ყურადღებას იჩენენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ადამიანებზე, რა მოთხრებითაც უნდა იყვნენ ისინი თავიანთი საშრომლოდან.

რუმინეთი

დღესასწაული გუჟარესტში

ბუჟარესტი, 23 აგვისტო. (საკადესი). დღეს აქ ფაშისტური ულლისაგან რუმინეთის განთავისუფლების 32-ე წლისთავის გამო რუმინეთის დედაქალაქის მშრომელთა დემონსტრაცია გაიმართა.

ტრიბუნაზე იყვნენ რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ნ. ჩაუშესკუ, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი მ. მენესკუ, რუმინეთის სხვა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი, დიპლომატიური კორპუსის წევრები, საზღვარგარეთელი სტუმრები, მათ შორის საბჭოთა კავშირორუმინეთის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია.

დღესასწაული დიდი სპორტული აღლუმით დამთავრდა. რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რუმინეთის მთავრობამ რესპუბლიკის ისტორიის ამ ღირსშესანიშნავი თარიღის გამო დარბაზობა გამართეს.

ვიეტნამი

მთავარი საფრთხე

ჰანოი. სოციალისტურ ქვეყნებთან, მშვიდობისათვის, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლ მთელ ძალებთან სოლიდარობა მოუმხრობლობის მოძრაობის ძლიერების წყაროა. სწორედ ამის წყალობით შეუძლია მას ხელი ეპყრას ისტორიული ინიციატივა და ყოველდღიურად სულ უფრო აქტიური როლს ასრულებდეს საერთაშორისო საქმეებში, წერს გაზეთი „ნიან ზანი“ მოწინავე სტატიაში, რომელიც მიუძღოდა ბელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კოლომბოს კონფერენციის შედეგებს ეძღვნება.

კოლომბოს კონფერენცია, — ნათქვამია სტატიაში, — ეს არის იმპერიალიზმის, ძველი და ახალი კოლონიალიზმის — დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ამ ერთადერთი და სამაში მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ტენდენციის გამარჯვება. როგორც გაზეთი წერს, კოლომბოს კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლა მრავალფეროვანი, ძნელი და რთული იქნება, რადგან, ობიექტურად, ეს ჯერის ბრძოლა იმპერიალიზმისა და მისი მეთაურის — შეერთებული შტატების წინააღმდეგ.

გფრ

ჯიბეს ისქელებენ

ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მონოპოლიები კვლავ ისქელებენ ჯიბეს გამალებული შეიარაღების შედეგად. „მესერშმიტ-ბელკოვ-ბლომის“ საავიაციო კონცერნს ამჟამად 1980 წლამდე აქვს გარანტირებული შეკვეთები რაკეტების, სამხედრო თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების წარმოებაზე. როგორც გაზეთი „დი ტატ“ წერს, კონცერნი ამირუნგა მომაკვდინებელი ბრუნვა მომაკვდინებელი პროდუქციის გამოშვებით და 1980 წლისათვის 3 მილიარდ მარკამდე გაადიდოს იგი.

ბელგია

ყოველი მხრიდან

● ბუქარესტი. ფაშისტური ულლისაგან რუმინეთის განთავისუფლების 32-ე წლისთავის წინ გალაცელმა მშენებლებმა საკესპლოატაციოდ გადასცეს მეორე მოცეკოთასტ ბინა, რომელიც აშენდა 1956 წლის შემდეგ, როცა დაიწყო ომის დროს ძლიერ დანგრეული ქალაქის რეკონსტრუქცია. ეს თავისებური რეკორდია, რადგან მათ მიერ შექმნილი ახალი სამინო ფონდის ფართობი აღემატება ამ ფართობს, რომელიც აქ ჰქონდათ განთავისუფლებამდე.

● ლონდონი. აქ გამოქვეყნდა ბრიტანეთის ტრადუნიონთა კონგრესის მოხსენიგი ყირილობის სამოლოო დღის წესრიგი. ყირილობა მომდევნო თვის დამდეგს გაიმართება. როგორც ადგილობრივი პრესა აღნიშნავს, პროფკავშირთა მიერ შეთავაზებული რეზოლუციები გამოხატავენ მშრომელთა შეშფოთებას ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობისა და უმუშევრობის უზომო ზრდის გამო.

● ზაპარტა. ინდონეზიის დედაქალაქში გაიხსნა სამხვითი ხელოვნების ეროვნული გალერეა. გალერეის პირველი ექსპოზიცია ეძღვნება მე-20 საუკუნის ინდონეზიურ ხელოვნებას. აქ წარმოდგენილია ყველაზე ცნობილ ხელოვანთა 200 ნამუშევარი.

გალერეის გახსნა, რომელსაც ჰოლანდიის ყოფილი კოლონიური ხასამართლის შენობა უკავია, დიდი მოვლენაა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. ამ ბოლო დრომდე ინდონეზიელ მხატვართა და მოქანდაკეთა ნაწარმოებები ძირითადად კერძო კოლექციებს ამშვენებდნენ.

● ადის-აბება. ეთიოპიის მთავრობა დიდ დახმარებას უწევს ხანგრძლივი გვალვის გამო დაზარალებული რაიონების მოსახლეობას. ამ მიზნით შექმნილმა სახელმწიფო კომისიამ დაიწყო ოგადენის რაიონის მცხოვრებთა გადასახლება მდინარე ვაბი-შებელის ხეობაში. პროგრამით გათვალისწინებულია წლის განმავლობაში 70 ათასი კაცის გადასახლება.

● მაპუტუ. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფლებამ წლევანდელი ივნისის შემდეგ დაპატიმრეს 2 ათასზე მეტი აფრიკელი. ამ ბოლო დღეებში დაპატიმრებულია აფრიკელი მოსახლეობის სხვადასხვა პროგრესულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების დიდი ნაწილი.

პოლიცია ინტენსიურად ეძებს ლიდერებს, რომლებიც დაპატიმრებას გაექცნენ და იმალებიან. კერძოდ, რასისტებმა 600 დოლარი „ჯილდო“ აღუთქვეს ამას, ვინც დაიჭერს ოფიციალურად აფრიკელთა გარეუბნის სტუდენტთა წარმომადგენლების ხაბეოს თავმჯდომარეს ნ. ბანდეს ან მიუთითებს მის ადგილსამყოფელს.

● ბუდაპეშტი. მსოფლიოს 25 ქვე

ახალგაზრდობის მშვიდობის ბანაკი

სოხუმი, 23 აგვისტო. (საინფორმის კორ.). ბიჭვინთაში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ახალგაზრდობის მეგობრობის ტრადიციულმა მერვე ბანაკმა. ხელმოწერილია მონაწილეთა საბოლოო განცხადება, რომელშიც აღნიშნულია ახალგაზრდობისა და ახალგაზრდულ ორგანიზაციათა დიდი როლი პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დარგებში თანამეგობრობის შექმნაში და, კერძოდ, სსრ კავშირისა და ფინეთის ახალგაზრდული ორგანიზაციათა ურთიერთმოქმედების როლი.

პანსიონატ „მზიურიდან", რომელიც ზეიდ ზღვის პირზეა, სტუმრები წვიდ-წამოვიდნენ. თვითეული მათგანს დიდხანს ეხსომება საინტერესო მოვლენებით აღსავსე ცხრა დღე.

მეგობრობის ბანაკის მონაწილეებმა მსარი დაუჭირეს იმ იდეას, რომ გაიმართოს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა სრულიად ევროპის კონფერენცია განიარაღების პრობლემებზე. ნაყოფიერად ჩაიარა კიევ-ორი სემინარის მუშაობამ.

დაუვიწყარი იყო ბანაკში ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, რეაქციისა და ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნების ხალხებთან და ახალგაზრდობასთან სოლიდარობის ხაზეიმო ხაზი.

გორული ხილ-ბოსტნეულით თბილისელებს

მინდვრიდან -მაღაზიებში



ქალაქის შემოსასვლელთან ჩამოდგნენ მანქანები, რომლებიც მორთულია ტრანსპარანტებით „გორიული ხილ-ბოსტნეული — თბილისელ მშრომელებს". 56 ტონა პამიდორი, 23 ტონა ვაშლი, მსხალი და ქლიავი გამოგზავნეს შავშვების საბჭოთა მეურნეობამ და ტყვიავისა და მერეთის კოლმეურნეობებმა.

მანქანების კოლონა პირდაპირ მაღაზიებში მიეშურება.

— გორიდან ორ საათში ჩამოვედით, — თქვა ეკაკვაშირის გორის დამამზადებელი კანტორის დირექტორის მოადგილემ ო. ჭეიღლაძემ. — ხილბოსტნეულის კარგი მოსავალი მოიწია გორის რაიონის მეურნეობებმა. ჩვენი კანტორის მუშაკებმა უნდა გადაამუშაონ 16 ათასი ტონა ბოსტნეული, 47 ათასი ტონა ხილი. 11.400 ტონა ხილი გაიგზავნება მოსკოვში, ლენინგრადში და ქვეყნის სხვა სამრეწველო ცენტრებში. საზრუნავი ჭევრი გვაქვს, მაგრამ კი არ ჩვაწუხებს, პირიქით გვახარებს კიდეც. სასახარულოა იმის ფიქრი, რომ გლეხკაცის კეთილმობილურ კარჯში თავისი წვლილი შეაქვთ დამამზადებლებსაც. დამამზადებლის ოპერატიულ და აწყობილ მუშაობაზე ხომ ბაღ-ბოსტნის ნახი პროდუქციის ხარისხია დამოკიდებული. ახლა ჩვენ გაცხარებული მუშაობის დრო დაგვიდგა. მიმდინარეობს ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება, მომხმარებლებისათვის მიტანა.

— აი, ეს პამიდორი გუშინ დავკრიფეთ, — ამბობს დამამზადებელი კანტორის საქონელმცოდნე დ. ნონიკაშვილი, — დღეს კი უკვე მაღაზიებს ექნებათ. ახლა ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოემზადა სავაჭრო ქსელი მათი მიღება-რეალიზაციისათვის.

მივდივართ ლენინის რაიონის № 4 მაღაზიაში. აქ პამიდორის პარტია ჩამოიტანეს. აწონეს თუ არა, მაშინვე დაიწყეს გადმოცლა და რამდენიმე წუთის შემდეგ მაღაზიაში უკვე პამიდორი იყიდებოდა.

ასობით ტონა ხილ-ბოსტნეულს გზავნიან თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, რესპუბლიკის კურორტებზე გორის რაიონის სოფლის მშრომელნი. დღეიდან მარტო თბილისელები ყოველდღიურად 50 ტონა პამიდორს მიიღებენ.

ვ. გულაშვილი,
საქინფორმის კორ.

* * *

სურათზე: გორიდან ჩამოსული ბოსტნეულითა და ხილით დატვირთულ ავტომანქანათა კოლონა.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმი).

გმირთა ხსოვნის უკვდავსაყოფად

კავკასიის დამცველ მფრინავთა მემორიალი

დიდი დღესასწაული დაუდგათ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის № ნაწილს ავიაგამანადგურებელ მფრინავებს. სამშობლოსთვის ბრძოლებში სასახელო საბრძოლო გმირობისათვის ნაწილი დაჯილდოდა საბჭოთა კავშირის ორი ორდენით, მიენიჭა საპატიო სახელი.

21 აგვისტოს აქ გაიხსნა სკულპტურული ჯგუფი, რომელიც ავეორგვინებს კავკასიისათვის ბრძოლის მონაწილეებს — საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავების პატივსაცემად შექმნილ მემორიალურ კომპლექსს. ამ კომპლექსის ნაწილს წარმოადგენს სამშობლოს სახელმოხვეჭილი მფრინავი შვილების ხეივანი, სადაც დადგმულია გამორჩენილი საბჭოთა ასების 15 ბიუსტი. ესენი არიან სამგზის საბჭოთა კავშირის გმირი ა. პოკრიშკინი, ძმები გლინკები, ვ. შამშურინი, რომელმაც ნიკოლოზ გასტელოს უკვდავი გმირობა გაიმეორა და სხვები. ყოველ ბიუსტს უდგას სპატიო ყარაული, რომელშიც ავიატორი და ხორჩი პიონერი შედიან. ფართო პლაცზე მწყობრად დგანან საპარადოდ გამოწყობილი ავიატორები.

იწყება საზეიმო მიტინგი, რომელსაც ხსნის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ავიაციის პოლიტგანყოფილების უფროსი ავიაციის გენერალ-მაიორი ი. ფოტინოვი. მან ილაპარაკა ისაზე, თუ რა გმირულად იბრძოდნენ საბჭოთა მფრინავები კავკასიისათვის 15 თვის განმავლობაში. ამ ბრძოლის დროს 73. მფრინავს მიეხარა სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — ისინი საბჭოთა კავშირის გმირები გახდნენ.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ავიაციის სარდალმა ავიაციის გენერალ-ლეიტენანტმა გ. დოლნიკოვმა სკულპტურული ჯგუფის გახსნის უფლება მიანიჭა კავკასიისათვის ბრძოლის აქტიურ მონაწილეებს, ამიერკავკასიის ავიაციის ვეტერანებს საბჭოთა კავშირის გმირებს ავიაციის გენერალ-მაიორ ნ. ერესენიევსა და პოლკოვნიკ ა. ხუხრინს. ელერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნების მელოდიები.

შეკრებილთ თვალწინ წარმოუდგათ სკულპტურული ჯგუფი, რომელშიც წარმოდგენილია სამი სამხედრო მფრინავი. ისინი თითქოს ცას შეჰყურებენ, თვალს ალეენებენ საჰაერო ბრძოლას.

გახსნას დაესწრო სკულპტურული ჯგუფის ავტორი — თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული ნათელა ვარსიმაშვილი. რვა თვეს მუშაობდა იგი ამ ქანდაკებაზე. ეს მისი სადიპლომო ნაშრომია და ავტორიტეტულმა კომისიამ იგი „ფრიადზე" შეაფასა. (საქინფორმი).



სურათზე: კავკასიის დამცველ მფრინავთა მემორიალი.

ვ. სოკოლოვის ფოტო (საქინფორმი).

პირველი კაპიტალური

თელავი. (საკ. კორ.). ბაიკალ-ამურის მაგისტრალის დიად მშენებლობაზე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა შორის არიან თელაველი ვანო ჯაშიაშვილი და მისი მეუღლე თამილა შიოშვილი. შორეულ მხარეში ბეჯითად შრომასთან ერთად ისინი არც მშობლიურ ქალაქს ივიწყებენ და ხშირად გვწერენ, თუ როგორ მიმდინარეობს მშენებლობა, როგორ ცხოვრობენ და საქმიანობენ იქ მომუშავე ქართველები.

აი რა მოიწერა ახლახან მშენებელთა ერთ-ერთი ბრიგადის ხელმძღვანელმა ვანო ჯაშიაშვილმა:

ერთ წელზე მეტია, რაც ნიკოგრუზინსკაიას მოქალაქენი ვართ. ამ ხნის განმავლობაში ქართველმა მშენებლებმა ბევრი რამ გააკეთეს. მალე დამთავრდება დროებითი დასახლების მშენებლობა — დაბა თავისი კომუნიკაციებით. გვიხარია, რომ ჩვენი დაბა ულამაზესია ბამის დასავლეთ უბანზე.

დაბელებმა დიდი სიხარული განვიცადეთ — ნომერ პირველი კაპიტალური საცხოვრებელი სახლის საძირკველში პირველი კუბური მეტრი ბეტონი ჩაისხა. ამ მოვლენას მიეძღვნა სპეციდასახელო მიტინგი, რის შემდეგ ბეტონით სავსე ბადიის სახელური პირველმა გახსნა მშენებლობის უფროსმა ანზორ დვალიშვილმა. მან ბეტონს საქართველოდან ჩამოტანილი მიწა ჩააყოლა.

ასე საზეიმოდ ჩაეყარა საძირკველი შორეულ ციმბირში პირველ ქართულ კაპიტალურ სახლს. ჩვენ ყველას გვჯერა, რომ გათვალისწინებულ ვადებში დავამთავრებთ მთელ მშენებლობას და ისევე საზეიმოდ ჩავასრულებთ ბოლო კუბურ მეტრ ბეტონსაც. ეს დიდად გვახარებს და ჩვენი სიხარული მინდა თქვენც გაგიზიაროთ, ძვირფასო თელაველებო!

ეკითხვების ქაღალდით

● **ქოგულეთი.** სოფელ ზენითის კულტურის სახლის აგიტმხატვრული ბრიგადა კოლმეურნეების ხშირი სტუმარია. ბრიგადა მინდრად მომუშავეებს ახალი ჟურნალ-გაზეთებით ამარაგებს, დროდადრო პლანტაციებში ჩაის მკრეფავებისათვის კონცერტსაც მართავს. რა თქმა უნდა, ასეთი შესვენება კოლმეურნეებს ხალისს მატებს.

ნ. გორგილაძე.

● **თელავი. ახლახან ალაზნის პროსპექტზე ახალი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი წამოიმართა. ალაზნის ხარწყავი სისტემის მშენებლებან სამოცამა ოჯახმა უკვე იზეიმა ახალმოსახლეობა.**

ნ. იოსებაშვილი

● **ბებეჟკორი.** ათი წლის წინათ გურძელმა მოსწავლეებმა სკოლის ეზოში ჩაის პლანტაცია გაშენეს. შარშან მათ ხუთი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფეს. მოსწავლეებმა მიზნად დაისახეს წლეულს ექვსი ტონა ნედლეული მიიღონ და სკოლისათვის პიანინო შეიძინონ.

ლ. ხურმავა.

ფეხბურთი

გაყოფილი ქულები

„დინამო" (თბილისი) — „არარატი" (ერევანი)—1:1 (1:1). 22 აგვისტო, თბილისი, „ლოკომოტივის" სტადიონი, მსაჯი ი. ბალიკინი (დნეპროპეტროვსკი).

„დინამო" — გოგია, ხიზანაშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, კოპალეიშვილი, მ. მაჩაიძე, ქორიძე (ჩელებაძე), გუცაევი, ყიფიანი, დარახელია (ჩივაძე).

„არარატი" — ოვსეფიანი, გევორქიანი, სარქისიანი, მირზოიანი, აზარიანი, ს. პეტროსიანი (მინასიანი), ფარსადანიანი, ოგანესიანი, კეროფიანი, ნ. პეტროსიანი, ხალატიანი (კაზარიანი).

მოხდა ისე, რომ თბილისის „დინამოსა" და ერევნის „არარატის" გუშინწინდელ ორთაბრძოლაში არ მოხაწილეობდნენ გუნდების კაპიტნები ვ. ჭელიძე და ა. ანდრიასიანი (ორივე ტრავმირებული იყო) და 39-ე საკავშირო ჩემპიონატის დროშა თბილისს „ლოკომოტივის" სტადიონზე აღმართეს ვიეტ-კაპიტნებმა, სპორტის ოსტატებმა მ. მაჩაიძემ და ა. სარქისიანმა.

ანგარიში თამაშის მეორე წუთზე 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გახსნა ქორიძემ, მაგრამ შესვენებამდე ათიოდე წუთით ადრე ნ. პეტროსიანმა აღადგინა წონასწორობა. 1:1 — ასე დამთავრდა ეს მატჩი, ისევე როგორც წინა ჩემპიონატის შეხვედრა ერევანში.

მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად აღიარეს შ. ხინჩაგაშვილი („დინამო") და ნ. პეტროსიანი („არარატი"), რომლებსაც საქართველოს სპორტკომიტეტის სპეციალური პრიზები გადაეცათ.

□

კვირას გაიმართა „ა" კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ორი შეხვედრა.

მოსკოვში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა დედაქალაქის „დინამომ" ანგარიშით 2:0 დაამარცხა შინსკელი თანაკლულელები. ორივე ბურთი გაიტანა მოსკოველთა გუნდის ახალგაზრდა თავდამსხმელმა კრამარენკომ.

მოულოდნელი იყო დნეპროპეტროვსკის მატჩის შედეგი — ადგილობრივმა „დნეპრმა" ანგარიშით 0:3 წააგო დონეცკის „შახტიორთან". ბურთიები გაიტანეს ვასინმა და სტარუხინმა —2.

ფრე ქუთაისში

„ა" **კლასის** პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი გაიმართა გუშინ ქუთაისში „ტორპედოსა" და რიგის „დაუგავას" შორის. შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს ქუთაისელმა ფეხბურთელებმა.

გუშინდელი მატჩი, რომელიც ძალზე უფერულად წარიმართა, დამთავრდა ფრედ — 0:0.

ტორპედოელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: კვერნაძე, კოსტავა, სულაქველიძე, ხურცილავა, ჭოხონელიძე, ოქროპირაშვილი, ჩახუნაშვილი, შელია, ფესტვენიძე, ხერხაძე, შენგელია (ბურკაძე).

ანგარიშია 7:7

რეგბი. თბილისის სკა-ს სტადიონზე გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ადგილობრივ გუნდებს „ლოკომოტივსა" და „ივერიას" შორის. ასპარეზობა დამთავრდა ფრედ—7:7. გათამაშების ლიდერმა — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდმა წააგო ჩვენი ქვეყნის ხუთგზის ჩემპიონთან მოსკოვის „ფილისთან" — 4:8. ეს გაგარინელთა პირველი დამარცხებაა, მაგრამ გუნდი მაინც ლიდერობს ტურნირს 24 ქულით. მომდევნო ადგილებზე არიან მოსკოვის „სლავა" — 22, „ფილი" — 19, მოსკოვის „ლოკომოტივი" და „ივერია" — 14 ქულა თვითეულს.

მოკლედ

ჩრბზურთი. ტალინის საერთაშორისო ტურნირზე გაიმართა ფინალური მატჩები. ორ საათზე მეტს გრძელდებოდა ქალთა გადამწყვეტი ორთაბრძოლა მოსკოველ ე. გრანატუროვასა და ლენინგრადელ ა. კრასკოს შორის. გაიმარჯვა ლენინგრადელმა.

ვაჟთა ფინალში მოსკოველმა ვ. ბორისოვმა სძლია გდრ-ის ჩემპიონს ტ. ემერიხს. წყვილთა ასპარეზობა მოიგეს: ქალებში — ნ. ბოროდინამ (მინსკი) და ი. შევჩენკომ (ლიეპაია), ვაჟებში — ვ. კოროტკოვმა და ა. ვოლკოვმა (ორივე — მოსკოვი), სოლო შერეულ წყვილებში — ბაკოულებმა ე. ბირიუკოვამ და რ. ახმეროვმა.

ფეხბურთი. ესპანეთის ქალაქ მალაგაში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მოსკოვის „ტორპედოც" მონაწილეობდა. საბჭოთა ფეხბურთელებმა მოუგეს ურუგვაის „პენაროლს" (მონტევიდეო), დამარცხდნენ ადგილობრივ „მალაგასთან" — 2:5 და მესამე ადგილზე გამოვიდნენ. ამ ტურნირში პირველობა მოიპოვა ესპანეთის ჩემპიონმა — მადრიდის „რეალმა", რომელმაც ფინალში სძლია „მალაგას" — 3:0.

კალათბურთი. სსრ კავშირის გოგონათა ნაკრებმა პოლონეთის ქალაქ შეცინში ეგროპის ჩემპიონობა მოიპოვა. გადამწყვეტ მატჩში ჩვენმა ალათბურთელებმა ანგარიშით 99:57 (53:29) დაამარცხეს უნგრეთის გუნდი. ასპარეზობაში, რომელიც პირველად გაიმართა, მონაწილეობდნენ 16 ქვეყნის გუნდები.

ჭადრაკი. ოდესაში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი. პირველი პრიზი მოიპოვა საერთაშორისო ოსტატმა როსენტო ბალინასმა (ფილიპინები) — 10 ქულა 14 შესაძლებლიდან. მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს ოდესელმა ოსტატმა ლევ ალბურტმა და დიდოსტატმა ვლადიმერ სავინმა (ხარკოვი) — 9 ქულა თვითეულს.

ჭადრაკი

საბჭოთა სტუდენტები — უძლიერესნი

სტუდენტთა მე-13 მსოფლიოს ოლიმპიადაზე კარაკასში (ვენესუელა), რომელშიც 21 ქვეყნის გუნდები გამოდიოდნენ, საბჭოთა მოჭადრაკეებმა კვლავ პირველობა მოიპოვეს ვადამდე.

ბოლო ტურში ჩვენმა მოჭადრაკეებმა დაამარცხეს მეორე ადგილზე გამოსული აშშ-ის ნაკრები (2,5:1,5) და 24,5 ქულა მოაგროვეს. მესამე ადგილზეა კუბის გუნდი.

საბჭოთა ნაკრების ღირსებას იცავდნენ: დიდოსტატები ო. რომანიშინი და ა. ბელიავსკი (ორივე — ლვოვი), რ. ვაპანიანი (ერევანი), ოსტატები ე. სვეშნიკოვი (ჩელიაბინსკი), ს. ბალატენკი (ოდესა) და მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის ვ. ჩეხოვი (მოსკოვი).

კვლავ ჩიბურდანიძე და იოსელიანი

ტოლიატში საკავშირო პირველობის ნახევარფინალურ ტურნირზე ქალთა შორის კვლავინდებურად ლიდერობენ მ. ჩიბურდანიძე (მას 9 ქულა ერთი ვადადებული პარტია აქვს ალაპოთელ ტ. ყივაევასთან) და ნ. იოსელიანი (9 ქულა).

ბოლო ტურებში მ. ჩიბურდანიძე ყაიმზე შეუთანხმდა ლ. ზაიცევას (მოსკოვი) და მოუგო ხ. კრუსიაკს (ტალინი). ნ. იოსელიანმა კი სძლია ტ. ყივაევას და ყაიმით დაამთავრა პარტია ლ. ზაიცევასთან.

ოსტატის წოდების მიღებისათვის ნ. იოსელიანს, როგორც მინიმუმი, მეორე სპარზო ადგილი სჭირდება. ბოლო ტურებში იგი სვდება მ. ჩიბურდანიძეს, ხ. კრუსიაკს და ტ. ზატულოვსკაიას (მოსკოვი).

მ. ჩიბურდანიძე ნ. იოსელიანის გარდა შეხვდება ტ. ზატულოვსკაიას და ე. მიხაილოვას (ლენინგრადი).

პიატიგორსკელმა ვ. კოზლოვსკაიამ 8 ქულა მოაგროვა და ერთი პარტია გადადო ძნელ მდგომარეობაში ე. ელინასთან (დნეპროპეტროვსკი), ლ. ზაიცევამ — 7 (1), ტ. ზატულოვსკაიამ — 6,5 (2), ტ. ვორონოვამ (მოსკოვი) — 6 (2).

დიდოსტატი მ. გუფელდი.
(ტელეფონით),

დაწინაურდა ა. კარპოვი

მადრიდი, 23 აგვისტო. (საკდესის კორ.). ესპანეთის ქალაქ მონტლიაში მიმდინარე საჭადრაკო ტურნირში ლიდერი გახდა მსოფლიოს ჩემპიონი ანატოლი კარპოვი, რომელმაც მეხუთე ტურში მოუგო ესპანელ ხოსე-მიგელ ფრაგუელს. კარპოვმა გამარჯვებით დაამთავრა მეოთხე ტურში გადადებული პარტია დიას დელ კორალთან (ესპანეთი). მსოფლიოს ჩემპიონს 4,5 ქულა აქვს. მას 0,5 ქულით ჩამორჩება ესპანელი მოჭადრაკე რიკარდო კალვო.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

საბჭოთა კავშირის გმირის მ. ი. გილანიშვილის სახელობის

თბილისის ელექტროტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1976-77 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. პლასტმასის მწნეხავები,
2. ზეინკალ-შემკეთებლები,
3. ზეინკალ-ამწყობები,
4. ზამრეწველო დანადგარების ელექტრომონტიორები.

სასწავლებელში მიიღებიან სამუშაო განათლების მქონე გოგონები და ვაჟები 17-დან 30 წლამდე.

სწავლის ხანგრძლივობა ერთი წელია.

მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია 36 მანეთის რაოდენობით, ფრიადოსნებს — 45 მანეთი და ამავე დროს ფულადი ანაზღაურება 33 პროცენტის რაოდენობით საწარმოო პრაქტიკის პერიოდში.

სასწავლებელში ყოფნის დრო ითვლება უწყვეტი მუშაობის საწარმოო სტაჟად.

სასწავლებლის დამთავრების, გამოსაშვები გამოცდების ჩაბარების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ კვალიფიკაცია და ეძლევათ შესაბამისი ატესტატი.

კურსდამთავრებულები უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაოთი მიღებული სპეციალობის, მინიჭებული კვალიფიკაციისა და თანრიგის მიხედვით. მოსწავლეები, რომლებიც „ფრიადზე" დაამთავრებენ სასწავლებელს, იმუშავებენ თავიანთი სპეციალობის მიხედვით, უმაღლეს სასწავლებელში მონათესავე სპეციალობაზე წარმოებიდან მოუწყვეტლივ კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან მისაღებ გამოცდებზე დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში წარმოებიდან მოწყვეტით სასწავლებლად მიიღებიან ზემოაღნიშნული პირები საერთო წესით საგალდებულო სამუშაო სტაჟის უქონლად. სასწავლებლის კურსდამთავრებულთ შეუძლიათ მიღება გამოცდები ჩაბარონ საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე არსებული წესის საფუძველზე.

განცხადება სასწავლებელში მიღების შესახებ შეტანილი უნდა იქნეს დირექტორის სახელზე სპეციალობის აღნიშვნით შემდეგი საბუთების დართვით: 1. საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 4. სამი ცალი ფოტოსურათი (ზომით 4X3 სმ.), 5. დახასიათება, 6. ავტობიოგრაფია.

პირადად უნდა წარმოადგინონ პასპორტი, მისაწერი მოწმობა ან სამხედრო ბილეთი.

ჩარიცხვა — წინასწარი გასაუბრებით.

საბუთების მიღება და დაწვრილებითი ცნობების დადგენა — ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

სწავლა დაიწყება პირველ ხექტემბერს.

მისამართი: ლენინის რაიონი, მაგნიტოგორსკის ქ. № 5, 51-ე ტექნიკური სასწავლებელი. ტრამვაი: № 1, 3, 11. მეტროო დიდუბე. ავტობუსი: №№ 11, 18, 24, 46, 48, 55, 57, 62, 63. ტელეფონი: 66-18-29, 66-05-80, 66-95-68.

ჩვენი ცნობარი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს

სასწავლო კომბინატი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1976-77 სასწავლო წლისათვის:

მრეწველობისა და მშენებლობის ბუღალტრების, უფროსი ბუღალტრებისა და აღრიცხვის მექანიზაციის მუშაკთა (ოპერატორების მექანიკოსებისა, ინჟინერ-დამპროექტებლების, ინსტრუქტორ-ოპერატორების), აგრეთვე ხოფლის მეურნეობის ბუღალტრების, უფროსი ბუღალტრების მოსამზადებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

სასწავლებელს აქვს ფილიალები: **ბათუმში** — კალინინის შესახვევი № 3; **ხოსუმში** — ემბას ქუჩა; **ზახარაძეში** — ნინოშვილის ქუჩა № 7; **ქუთაისში**— ბაგრატის ქუჩა № 6. IV შესახვევი; **ზუგდიდში** — ბახარაძის ქუჩა № 47; **ზესტაფონში** — ჩაპაევის ქუჩა № 19; **გორში** — სტალინის გაშზირი № 3; **თელავში** — ლენინის ქუჩა № 2; **რუსთავში** — კომკავშირის ქუჩა № 19; **ლაგოდეხში** — ტელმანის ქუჩა № 9; **ფოთში** — ბახარაძის ქუჩა № 7; **ცხინვალში** — ლენინის ქუჩა № 47.

სასწავლებელში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობის ასლი ნოტარიუსით დამოწმებული, 2. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 4. ორი ფოტოსურათი (3X4 სმ), 5. ავტობიოგრაფია, 6. დადგენილი ფორმის განცხადება, რომელიც ივსება საბუთების შემოტანის დროს.

შენიშვნა: უპირველესად ის პირნი მიიღებიან, ვისაც ორგანიზაცია მოავლენს და გადაუხდის სწავლის გადასახადს.

ბუღალტრებისა და უფროსი ბუღალტრების საღამოს განყოფილებაზე ისინი მიიღებიან, ვინც მუშაობს აღრიცხვის დარგში, მაგრამ არა აქვს ბუღალტრის ან უფროსი ბუღალტრის კვალიფიკაცია. შემომსვლელებმა საბუთებთან ერთად უნდა წარმოადგინონ სამუშაო ადგილიდან მომართვა, შრომის წიგნაკის ამონაწერი და ცნობა, რომ მუშაობს აღრიცხვის დარგში.

სასწავლებელი სამეურნეო ანგარიშზეა, მასში ჩაირიცხებიან ორივე სქესის მოქალაქენი.

საბუთები მიიღება 30 აგვისტომდე ყოველდღე, დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე, კვირის გარდა.

სწავლა დაიწყება 1 ხექტემბერს.

მისამართი: თბილისი, 380091, თემქის დასახლება, I კვარტალი, სასწავლო კომბინატი. ტელეფონი: 62-11-36, 62-05-35, ტრანსპორტი ვაგზლის მოედნიდან: ავტობუსი № 62, მეტროს სადგურ დიდუბიდან ტრამვაი № 3, სამარშრუტო ტაქსი — № 15, გიგრება კინოთეატრი „სიხარული".

საქმეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვის" ბაზაზე ახლად გახსნილი

თბილისის 97-ე ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1976-77 სასწავლო წლისათვის:

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე გოგონები და ვაჟები 17-25 წლის ასაკამდე.

სასწავლებელი ამზადებს მმართველ ადამოთვლითი მანქანების სპეციალისტებს სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „ელვისათვის".

მოსწავლეებს სწავლის პერიოდში ეძლევათ 30 მანეთი სტიპენდია, ხოლო ფრიადოსნებს ეს თანხა 25 პროცენტით უდიდდებათ.

მოსწავლეები დამთავრების შემდეგ სამუშაოზე სპეციალობის მიხედვით გაიგზავნებიან და უფლება ეძლევათ ჩაბარონ მისაღები გამოცდები უმაღლეს სასწავლებელში საერთო წესის მიხედვით.

მოსწავლეთა მიღება წარმოებს საკონკურსო შერჩევით საშუალო განათლების ატესტატის მიხედვით.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე შემდეგ საბუთებთან ერთად: 1. განცხადება, 2. საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), 3. დაბადების მოწმობა (დედანი), 4. დახასიათება, 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 6. ფოტოსურათი (3X4 სმ) 6 ცალი, 7. ავტობიოგრაფია, 8. პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის ბარათი წარმოდგენილი უნდა იქნეს პირადად.

სწავლების ვადა ერთი წელიწადია.

სწავლა 1 ხექტემბერს დაიწყება.

საბუთები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 9-დან 5 საათამდე.

მისამართი: თბილისი, ჯიქიას ქ. № 8, ვაჟა-ფშაველას პროსპექტის ბოლო გაჩერება. ავტობუსი: 49, 47, 53, 20, 2, 67. ტროლეიბუსი: 4, 5, 6. 11, 12, 14.

ტელევიზია

24 აგვისტო

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — მხატვრული ფილმი „მხიარული ახალგაზრდობა", 17.05 — ბავშვებისათვის სატელევიზიო მხატვრული ფილმი „პირველი შტორმი". ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — განცხადებები, 18.20 — „ცეროდენას ვარანი", 18.50 — ბათუმის ახალგაზრდული ქორეოგრაფიული ანსამბლი „მშენებელი". ფერადი გამოსახულებით (განმეორებით), 19.10 — „სპორტული მიმოხილვა", 19.40 — „განვაახორციელოთ სკკპ XXV ყრილობის გადწყვეტილებები" — „მეცხოველეობას მტკიცე საკვები ბაზა", 20.00 — — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საიდუმლო ომი (სტუდიაში პოლიტიკური მიმოხილველი ა. დრუჟინინი) გადაცემა პირველი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.55 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მემკვიდრეები" (III სერია. პრემიერა). ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — მუსიკალური სპექტაკლების სცენები.

მეორე პროგრამით

18.05 — მხატვრული ფილმი „არწივის ფრთები", 19.20 — განცხადებები, 19.25 — „პავლე ანტოკოლსკი და საქართველო".

ტელევიზია

25 აგვისტო

პირველი პროგრამით

08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — სამფონიური მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ოპერეტების ფრაგმენტები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ლ. ბეთჰოვენი. საფორტეპიანო სონატა დო მინორი, 11.45 — „მწვანალი მიკროფონთან", 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — დ. თორნაძე. ოპერა „ჩრდილოეთის პატარძლის" ნაწყვეტები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა". კ. გამსახურდია. „მთვარის მოტაცება". რომანი (გაგრძელება), 14.20 — საესტრადო კონცერტი, 17.15 — დ. შოსტაკოვიჩი. სიმფონიური სუიტა „ოქროს საუკუნე", 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. „ლაპარაკობს რადიოსადგური „ციცინათელა", 18.10 — დ. არაყიშვილი. სიმღერები და რომანსები, 18.45 — ფანტაზიები საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერების თემებზე, 19.00 — „დავაჩქაროთ მშენებლობის ტემპი", 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.40 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტის ფოსტა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი". ტრანსლაცია ბაქოდან, 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — ახალგაზრდობისათვის. „ფეჭრები ხმამაღლა", 21.30 — საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს საესტრადო ორკესტრის კონცერტი, 21.50 — ა. დოდე. ინსცენირებული ნოველები, 23.30— უკრავს ი. ხეიფეცი.

ანონსი

ინფორმაციები

ინფორმაციები

ინფორმაციები

ინფორმაციები

ინფორმაციები

ინფორმაციები

ინფორმაციები

ინფორმაციები

ინფორმაციები

ინფორმაციები

ინფორმაციები

ინფორმაციები

ინფორმაციები

ინფორმაციები

ინფორმაციები

ინფორმაციები

ინფორმაციები

ინფორმაციები

ინფორმაციები

ინფორმაციები

ინფორმაციები

ინფორმაციები

ინფორმაციები

ინფორმაციები

ინფორმაციები

ინფორმაციები

ინფორმაციები

**ინფორმაციები